ლიბერალი

№ 110 / 8 - 14 ოქტომბერი / 2012

ინტერვიუ ვახტანგ ხმალაძესთან **გვ. 14**

უნდა გადავიდეს თუ არა პარლამენტი ქუთაისში? **გვ. 08**

პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება **გვ. 10**

სისტემა უნდა დაინგრეს! **გვ. 12**

ზუგდიდი არჩევნების დღეს და შემდეგ **გვ. 18**

კაკაბაძე და სხვები VS საქართველო **გვ. 36**

დამშვიდობება წარსულთან: **გვ. 54**

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 2 ლარი

ახალი პოლიტიკური ჰეალობა

ეცადე დაინახო მეტი

www.tv9.ge

ლიბერალი

№ 110 / 8 -14 ოქტომბერი / 2012

მთავარი რედაქტორი
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ნინო ბექიშვილი

ჟურნალისტები:
ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მაღალდაძე, ლევან ახალაია, სალომე ცეცხლაძე

კონტრიბუცია:
კახა თოლორდავა, მარინა მუსხელიშვილი, ჯორჯ უელტონი, ანა დოლიძე

რედაქცია:
ფოტო-რედაქტორი
ლევან ხერხეულიძე
გრაფიკული დიზაინი
თორნიკე ლორთქიფანიძე
რედაქტორ-სტილისტი ნინო ბექიშვილი
კორექტორი თამარ ღონღაძე

გამომცემლობა:
დირექტორი
ქეთევან ბაბუნაშვილი

გაყიდვებისა და ბიზნესის განვითარების მენეჯერი
რუსუდან ბარათაშვილი

გაყიდვების მენეჯერი:
სოფო პაპუნაშვილი

მარკეტინგის მენეჯერი:
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

www.liberali.ge

რედაქტორისგან

ამ ქვეყნის მეგობარმა და კარნეგის ცენტრის მკვლევარმა, ტომ დე ვაალმა არჩევნებამდე დაწერა სტატია სათაურით „საქართველო იკრავს სუნთქვას“. მე მხოლოდ გუშინ წავიკითხე ეს სტატია და ხელახლა გავაცნობიერე, რომ ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე, მართლაც სუნთქვაშეკრული და დაზაფრული ველოდით 1 ოქტომბერს, როგორც განაჩენს, როგორც ვერდიქტს.

საარჩევნო უბნები ახალი დაკეტილი იყო, ჯერ ხმების დათვლაც არ იყო დაწყებული, რომ გამარჯვებულებმა ყიჟინა დასცეს. ეგზიტპოლების პირველი შედეგების გამოცხადებისთანავე, დროშების ფრიალითა და საყვირებით დაქროდნენ მანქანები თბილისის ქუჩებში. მახსოვს, საშინლად გავბრაზდი! ჯერ კიდევ დასათვლელი იყო ბიულეტენები და დასაცავი იყო ხმები, განსაკუთრებით რეგიონებში. რას ვყიჟინებდით, როცა საქმე ბოლომდე არ გვქონდა მიყვანილი და არჩევნების შედეგები ჯერ ისევ ჰაერში ეკიდა?

მძიმე იყო ხაშურში სტუმრობა და ზუგდიდში განვითარებული მოვლენებიც. ერთგან ხელისუფლება პირადად, სპეცნაზით გაუსწორდა ვალერი გელაშვილს და მეორეგან – როლანდ ახალაიამ მოიგო არჩევნები. ხელისუფლების მომხრეებიც, მთელი ამ დღეების მანძილზე, უკვე მსხვერპლის როლში, ჩვეული ჰონორით, ნიშნისმოგებით გვიმტკიცებდნენ, რომ ახლა ყველაფერი ცუდად იქნება, დაბრუნდებიან კრიმინალები, მოვა რუსეთი, წარსული და წყვდიადი. პოლიტიკური კრიზისით გვემუქრებოდა უკვე ოპოზიციონერი დავით ბაქრაძე.

ახალი რეალობის დადგომა მხოლოდ მაშინ გახდა ჩემთვის ცხადი, როცა ძველი და ახალი ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს კანცელარიაში შეხვდნენ. შეხვედრის შემდეგ, ხელისუფლების ლიდერები უკვე პასუხისმგებლობაზე საუბრობდნენ და ცოტა ხნით მაინც დაემსგავსნენ სახელმწიფო მოხელეებს.

ჩვენ კი ნელ-ნელა ვემსგავსებით მოქალაქეებს. იმედია, სიხარული მალე იქცევა პასუხისმგებლობად და დიდი მსხვერპლის ფასად მოპოვებული სიფხიზლეც აღარ დაგვტოვებს.

ძალიან მძიმედ, მაგრამ ჩვენ მოვიგეთ ომი! მოვიგეთ არა ვინმესთვის, ან ვინმეს წინააღმდეგ – ომი მოვუგეთ საკუთარ თავს, საკუთარ შიშებს, შეცდომებს, გამოუცდელობას, სიმხდალეს, სიზარმაცეს, კონფორმიზმსა და გულგრილობას.

ჩვენ ცოტა ხნით მაინც ვაჯობეთ საკუთარ თავს.

ალბათ სწორედ ასეთ წუთებს ინახავს ისტორია.

შორენა შავერდაშვილი

ზუგდიდი - არჩევნების დღეს და შემდეგ

პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ზუგდიდი მედიის, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. კოალიცია „ქართული ოცნება“ აცხადებდა, რომ მათი კანდიდატის, ირაკლი ალასანიას დამარცხება გაყალბების შედეგი იყო და ამომრჩევლების ხმებს კანონის ფარგლებში ნებისმიერ ფასად დაიცავდნენ.

გიორგი გოგუა
33.18

ჯაჯაბაძე და სხვები VS საქართველო

2 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთ ქართულ საქმეზე გამოიტანა განაჩენი. სასამართლომ დაადგინა, რომ 2006 წლის 29 სექტემბერს სააპელაციო სასამართლოს ეზოში მშვიდობიანი მანიფესტანტებისთვის ოცდაათდღიანი პატიმრობის შეფარდებით საქართველოს ეროვნულმა სასამართლომ კონვენციის რამდენიმე მუხლი დაარღვია. კერძოდ: მე-5 მუხლი – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება, მე-11 მუხლი – შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი – გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებზე.

ევროსასამართლომ სახელმწიფოს თითოეული განმცხადებლისთვის მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 6 000 ევროს გადახდა დააკისრა.

ეკა მაღალდაძე
33.38

ახალი კონსტიტუციური წესრიგი

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი დრამატულად შეიცვალა. უკვე ცნობილია, რომ პარლამენტში უმრავლესობას კოალიცია „ქართული ოცნება“ მოიპოვებს, თუმცა, მოქმედ ხელისუფლებას კონსტიტუციით განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლება

ჯერ კიდევ ხელთ აქვს. როგორი იქნება ახალი კონსტიტუციური წესრიგი? ამ თემაზე „ლიბერალი“ კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრა. აღსანიშნავია, რომ ხმალაძე, „ქართული ოცნების“ რიგებიდან კენჭს დიდუბის მაჟორიტარ კანდიდატად იყრიდა, და თავისი მოწინააღმდეგე დიდი უპირატესობით, 71% 25%-ის წინააღმდეგ, დაამარცხა.

ზურაბ ვარდიაშვილი
33.14

ВЫБОРЫ ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲝᲬᲛᲘᲜᲓᲐᲨᲘ

ახალქალაქის შესასვლელთან, მაღლობზე, შოთა რუსთაველის დიდი ბიუსტი დგას, ბიუსტის ქვემოთ, დაახლოებით თხუთმეტი მეტრის სიგრძის კედელი წითლად „მიპულივიზატორებული“ „5“ ნომრითა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – სანველ პეტროსიანის საარჩევნო პლაკატებითაა გაფორმებული.

გიორგი ჭეიშვილი
გვ.28

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲪᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲘ

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ 2012

გვ.46–53

ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ:

ᲤᲘᲢᲝ ᲒᲐᲠᲔᲯᲘᲐᲜᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ

04 მოკლედ
06 რიცხვები, ციტატები
ორი აზრი
08 უნდა ჩატარდეს თუ არა რეფერენდუმი პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე?
კომენტარი
10 პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება. ვინ ირჩევს შემდეგ მთავრობას? როდის? როგორ?
12 სისტემა უნდა დაინგრეს!
არჩევნები 2012
22 გორსა და გორის სოფლებში გატარებული 1 ოქტომბერი
პოლიტიკა
30 „რა უნდა გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ პირველ რიგში?“
უცხოეთი
34 „საბჭოთა“ ტიპის არჩევნები ბელარუსში
სამართალი
36 კაკაბაძე და სხვები VS საქართველო
ჟურნალისტური გამოძიება
38 თავდაცვისათვის დასჯილნი
ლიბერალის ვებგვერდიდან
54 დამშვიდობება წარსულთან: სიმართლის, სამართლიანობისა და შერიგების კომისია (სსშ)
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
56 ანოსმია

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ:
შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

ᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲔᲑᲘ:
„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნანილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ᲑᲭᲔᲓᲕᲐ:
სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.

ინდონეზია: მუშათა გაფიცვა

ასიათასობით მუშის გაფიცვას 800 ქარხნის დახურვა მოჰყვა ინდონეზის დედაქალაქ ჯაკარტაში. მუშები არასათანადო სამუშაო გარემოს და არამყარ პირობებს აპროტესტებდნენ. დაახლოებით 2 მილიონი მუშა გაიფიცა და გამოხატა თავისი პროტესტი. ისინი მოტოციკლებით და ბანერებით ქალაქის გარშემო გადაადგილდებოდნენ და მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, რომ შეეცვალათ სიტუაცია, ასევე დასაქმებულთა სამუშაო კონტრაქტის გადახედვა მომხდარიყო. მომიტინგეთა განცხადებით, დასაქმებულთა უფლებები არ არის დაცული და ამის გამო მათ სტაბილურობას საფრთხე ექმნებოდა. წინა დღით, The Jakarta Globe-მა თავის ვებსაიტზე განაცხადა, რომ პროფესიული კავშირები ელოდნენ დაახლოებით 2.8 მილიონ ადამიანის გამოსვლას 21 გარეუბნიდან, მუნიციპალიტეტებიდან და 80-მდე ინდუსტრიული ზონიდან. ისინი ასევე აპროტესტებდნენ სხვადასხვა ქვეყნებიდან მუშა ხელის ჩამოყვანას. გაფიცვამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას ისედაც არამყარ ეკონომიკას ინდონეზიაში. ინდუსტრიის მინისტრმა მოუწოდა გაფიცულებს დიალოგისკენ. მისი თქმით, „გაფიცვა არის ის მოძრაობა, რომელიც ძალიან დიდ ზიანს აყენებს პროდუქციის წარმოების პროცესს და მე მსურს ამის თავიდან აცილება“.

საქართველო და უცხოეთი

საქართველოში პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს უცხოური მედიიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, ალ-ჯაზირას დოჰას ოფისმა გამოაქვეყნა სტატია სათაურით - „რუსეთი მიესალმება საქართველოში ოპოზიციის გამარჯვებას“. მათი თქმით, ნაციონალური მოძრაობის დამარცხება შოკი იყო მიხეილ სააკაშვილისთვის. სტატიაში ხაზგასმული იყო რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების საკითხი და საქართველოს მიერ დემოკრატიის გამოცდის წარმატებულად ჩაბარება საპარლამენტო არჩევნებში.

BBC-ის განცხადებით, რუსეთი და აშშ მიესალმება საქართველოში ჩატარებულ არჩევნებს. მათივე თქმით, საქართველოს ისტორიაში ხელისუფლების პირველი დემოკრატიული ტრანზიცია მოხდა.

თეთრი სახლის განცხადებით, საქართველოში ჩატარებული არჩევნები იყო – „კიდევ ერთი ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიული განვითარების კუთხით“. განცხადება გააკეთა ასევე ევროკავშირმა – „საქართველომ გამოავლინა ჯანსაღი პატივისცემა ფუნდამენტური თავისუფლების მიმართ“.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსპიკერის, ალექსანდრე ლუკაშევიჩის განცხადებით, აშკარაა ქართველი ხალხის ნება ცვლილებების სასარგებლოდ, „ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საბოლოოდ საქართველო დაიწყებს ურთიერთობის ნორმალიზებას და დაამყარებს კონსტრუქციულ, პატივსაცემ ურთიერთობას მეზობლებთან. ასეთ დამოკიდებულებას რუსეთი მიესალმება.

ვენესუელა

კვირის საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ჩავესმა და კაპრილესმა საკუთარ ამომრჩევლებს უკანასკნელად მიმართეს. ჰუგო ჩავესმა კარაკასში, ასიათასობით მხარდამჭერს ძლიერი წვიმის ფონზე მიმართა. ჩავესი მესამე ვადით იყრის კენჭს, რათა დაასრულოს ის სოციალური რეფორმები, რაც მემარცხენე კურსის დროს დაიწყო. აღსანიშნავია ჩავესის მხარდამჭერთა ესთეტიკური მხარე აქციაზე, ისინი წითელი ფერის სამოსში იყვნენ წარმოდგენილნი. ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ბარქუისიმენტოში, ოპოზიციონერი ენრიკე კაპრილესი თავის მომხრეებს ეკონომიკური პრობლემების აღმოფხვრას და უკეთეს მმართველობას დაჰპირდა. პრეზიდენტობის კანდიდატმა ასევე ყურადღება გაამახვილა ჩავესის თოთხმეტწლიან მმართველობაზე და მას საკმარისზე მეტი უწოდა. მემარჯვენე კანდიდატის დაპირებებში ასევე არის გზების, სკოლების და სამუშაო ადგილების შექმნა.

კვირას საპრეზიდენტო არჩევნებში დაახლოებით 19 მილიონი ამომრჩეველი მიიღებს მონაწილეობას.

თურქეთ-სირიის ფრონტი

ხუთშაბათს თურქეთის პარლამენტმა მხარი დაუჭირა საზღვარზე სამხედრო ძალის გამოყენებას თუ ამის საჭიროება იქნება. პარლამენტის 550 დეპუტატიდან 320-მა მხარი დაუჭირა ამ მანდატს, რომელიც ერთწლიანი ვადით განისაზღვრა. თურქეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილის, ბესირ ატალაის თქმით, სამხედრო ძალების გამოყენება სირიის მიმართ არ არის ომის გამოცხადება, არამედ შესაძლო საფრთხის თავიდან აცილებაა. პარლამენტში ამ საკითხის განხილვა მას შემდეგ დაიწყო, რაც სირიის სა-



მხედრო ძალებმა თურქეთის ტერიტორია დაბომბეს, რასაც თურქეთის 5 მოქალაქე ემსხვერპლა. მსხვერპლთა შორის ერთი ქალი და ოთხი ბავშვია, ერთი და იმავე ოჯახიდან. სანამ თურქეთის პარლამენტი ოფიციალურად გააფორმებდა სამხედრო ძალის გამოყენებას სირიის მიმართ, ხუთშაბათს, გამთენიისას, თურქეთის სამხედრო ძალებმა საზღვართან ახლოს, ქალაქ ტალ ალ-აბიადთან მყოფ სირიულ ობიექტზე მიიტანეს იერიში, რის შედეგადაც ერთი სამხედრო დაშავდა.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეპ ტაიპ ერდოღანის თქმით, თურქეთს არ სურს ომის დაწყება – „ჩვენი მიზანია რეგიონში სიმშვიდის და უსაფრთხოების დაცვა. ომი ჩვენი განზრახვა არ არის. ჩვენ გააზრებული გვაქვს რა შედეგებით დასრულდა ოპერაციები ავღანეთსა და ერაყში... იმავეს ვხედავთ სირიასთან მიმართებაში“. მისივე თქმით, სიტუაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის თურქეთის ნაციონალურ უსაფრთხოებას და ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მსგავსი დოკუმენტის მიღება.

ხუთშაბათ საღამოს 7 საათზე კი, უამრავი ადამიანი შეიკრიბა სტამბულში, ტაქსიმზე. მომიტინგეები სირიასთან შესაძლო ომს აპროტესტებდნენ. სოციალურ ქსელ ტვიტერზე არხიც შეიქმნა, სადაც უამრავი იუზერი ომს აპროტესტებდა, ზოგი პირდაპირ აქციიდან აქვეყნებდა სურათებს. ერთ-ერთმა მომხმარებელმა მსგავსი შინაარსის განცხადება გაავრცელა: „ეს არ არის კომპიუტერული თამაში. ჩვენ არ გვაქვს დამატებით სიცოცხლე“.

მკვლელობა ნიგერიაში

ორშაბათს მომხდარი მკვლელობის ფაქტს ნიგერიის პოლიცია ახლაც იძიებს. ოფიციალური მონაცემებით, 25 ადამიანი შეეწირა ქალაქ მუბის უნივერსიტეტის კამპუსში მომხდარ ტრაგედიას, სადაც შეიარაღებული პირი შეიჭრა და ხოცვა-ჟლეტა მოაწყო. ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, უნივერსიტეტში სტუდენტთა მმართველობითი ორგანოს არჩევნები იყო და მსხვერპლიც სპეციალურად შეირჩა. არჩევნებში მონაწილეობას გარდაცვლილთა შორის მყოფნიც იღებდნენ. მკვლელი აიძულებდა საკუთარი სახელები ეთქვათ. მეორე ვერსიით, ნიგერიის ყველაზე დიდი ტერორისტული ჯგუფი ბოკო ჰარამია დამნაშავე, რომელიც ბოლო დროს მომხდარი მასშტაბური ტერაქტებით ძალიან ცნობილი გახდა, რის საპასუხოდაც, ნიგერიის მთავრობამ მათ მიმართ ანტიტერორისტული ოპერაციები დაიწყო.

ადგილობრივები ამ მკვლელობაში ბოკო ჰარამის აქტივობას გამორიცხავენ და ყველაფერს არჩევნებს უკავშირებენ.

მკვლელობას ნიგერიის პრეზიდენტი, ჯონათან გუდლაქი გამოეხმაურა და ქმედება შეაფასა, როგორც ტრაგედია და შოკი. მან ასევე სამართალდამცავებს პირდაპირი დავალება მისცა, გამოიძიონ ინციდენტი.

რიცხვები, ციტატები

8 უბნის, კერძოდ საგარეჯოს, მარნეულის, თეთრიწყაროს, კასპის, გორის, ახალციხის, მარტვილისა და ხულოს თითო უბნის მონაცემები ცესკომ გააუქმა.

3766 უბნის მონაცემების დათვლის შემდეგ კოალიცია „ქართული ოცნება“ 54.85%-ით ლიდერობს, მას მოჰყვება ერთიან ნაციონალურ მოძრაობა 40.43% - ით.

39 მაჟორიტარულ ოლქში „ქართულმა ოცნებამ“, 33-ში კი – „ნაციონალების“ კანდიდატმა გაიმარჯვა.

40% ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის აქციებისა ყოფილმა მინისტრმა დავით კეზერაშვილმა იყიდა.

400 200 000 ლარის სესხი გაიცა რეფინანსირების სესხების აუქციონზე. სესხის განაცხადი დაუკმაყოფილდა ექვს კომერციულ ბანკს.

67%-ით ამერიკის პრეზიდენტობის კანდიდატებს შორის წინაასაარჩევნო დებატებში მიტ რომნიმ გაიმარჯვა.

1 მილიარდს მიაღწია სოციალური ქსელის „ფეისბუქის“ მომხმარებელთა რაოდენობამ.

16 ადამიანი დააკავეს ირანში პროტესტის წახალისების ბრალდებით.

„შრომის კოდექსი იქნება ადამიანური და მორგებული დასაქმებულის ინტერესებზე. კოდექსი, რომელიც ხელისუფლებამ შემოიღო და ახლა მოქმედებს, აბსოლუტურად გაუმართლებელია. კოდექსი არ იცავს მუშახელის პოზიციას და მხოლოდ დამქირავებელზეა ორიენტირებული“.

ბიძინა ივანიშვილი

„ჩვენ შევძლებთ იმას, რომ პირველად ჩვენს ისტორიაში მოხდეს ხელისუფლების გადაბარება და ამან არ მოიტანოს ნგრევა და კრიზისი, არამედ მოიტანოს ის, რომ საქართველო იქნება უფრო დემოკრატიული და უფრო ძლიერი ქვეყანა“

დავით ბაქრაძე

„ჩემი ყველა კოლეგა დამეთანხმება, რომ საქართველოს უდიდესი წარმატება ჰქონდა ამ კვირის დასაწყისში. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი მშვიდად დასრულდეს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ბიძინა ივანიშვილმა თავის მომხრეებს შესანიშნავი მაგალითი მისცეს, როდესაც უარი თქვეს საარჩევნო კამპანიის დროს გამოვლენილ მწარე რიტორიკაზე და დაიწყეს ხელისუფლების გადაცემის პროცესი.
ჩემი ჩამოსვლის შედეგად დარწმუნებული ვარ, რომ საარჩევნო პროცესის დარჩენილი ნაწილი სწორად წარიმართება.
მე აქ საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით ვარ და ვაკვირდები გადათვლის საბოლოო პროცესს. მდგომარეობა ზუგდიდში ამჟამად ისეთია, რომ ხმების გადათვლა საბოლოოდ დასრულებული არ არის და ორივე მხარე გამოთქვამს წუხილს და სურვილს, რომ პროცესი სწორად წარიმართოს“.

აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანი

ოპერატიულად განახლებადი ახალი ამბები, სიუჟეტები, გადაცემები და ანონსები.

tv9.ge/facebook

tv 9

ეცადე დაინახო მეტი

აქვე შეგიძლია უყურო პირდაპირ ეთერს, დაათვალიერო ფოტო და ვიდეო არქივი და გაეცნო ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებს.

დიახ

სერგო რატიანი

ილიას უნივერსიტეტის პროფესორი, ახალი მოწვევის პარლამენტის წევრი, „ნაციონალური მოძრაობიდან“

ფოტო: ნინო ძაბარაძე

უნდა ჩატარდეს თუ პარლამენტის ქუთაი

■ დედაქალაქი იმასაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში არის სხვა ქალაქებიც და სხვადასხვა კუთხე, რითაც მართლაც მდიდარია ქართული კულტურა. ამას ყოველ მხრივ უშლის ხელს ის, რომ ყველაფერი ცენტრალიზებული უნდა იყოს.

პარლამენტის ქუთაისში გადატანა კონსტიტუციაშია ჩაწერილი. ჩემი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. ბოლოს და ბოლოს, უნდა დამთავრდეს ის საბჭოთა რეალობა, როდესაც ერთი ქალაქი შთანთქავს ყველა დანარჩენ ქალაქს. ეს იყო იმპერიული ხედვა, როდესაც ერთი ქალაქის გაკონტროლება იქნებოდა უფრო ადვილი და ყველაფერი ერთ ქალაქში იყრიდა თავს. ამიერკავკასიის სამხედრო ცენტრიც კი აქ იყო, ანუ მთელ რეგიონს აკონტროლებდნენ.

ეს ქვეყნისათვის დამანგრეველია. თბილისის განვითარებასაც ხელს არ აძლევს. მას სხვა ფუნქციებიც ენიჭება, გარდა იმ ფუნქციებისა, რომელიც შეიძლება დედაქალაქს ჰქონდეს. დედაქალაქი იმასაც ნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში არის სხვა ქალაქებიც და სხვადასხვა კუთხე, რითაც მართლაც მდიდარია ქართული კულტურა. ამას ყოველ მხრივ უშლის ხელს ის, რომ ყველაფერი ცენტრალიზებული უნდა იყოს.

რაც შეეხება თავად ამ პროცედურას, კონსტიტუციაში წერია, რომ დედაქალაქი უნდა იყოს ქუთაისში. მე პირადად უპირატესობას ვანიჭებ წარმომადგენლობით დემოკრატიას, სადაც ადამიანები ირჩევენ პარლამენტს და შემდეგ იქ რაღაც პროცედურების მიხედვით ხდება რაღაც გადაწყვეტილების მიღება.

ეს საკონსტიტუციო ცვლილებაა და არ ვფიქრობ, რომ ეს მაინცდამაინც რეფერენდუმის შედეგად უნდა გადაწყდეს. ჯერ ერთი, ეს წარმომადგენლობითი დემოკრატიის პრინციპს გარკვეულწილად ეწინააღმდეგება, გადახვევაა და რაღაც სხვა ფენომენზე მიუთითებს. გარდა ამისა, მოითხოვს გაცილებით დიდ რესურსებს და კამპანიას, რაც დროის, რესურსებისა და ფულის ფუჭ ხარჯვად მიმაჩნია.

...ია ჩეფჩენდუმი ...ში გადატანაზე?

■ თბილისში უამრავი მედიასაშუალება, საინიციატივო ჯგუფი და არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. რამდენ მათგანს აქვს საშუალება დედაქალაქიდან 4 საათის სავალ მანძილზე შექმნას ბიურო, ჰყავდეს გამოცდილი კადრი?!

არა

ნინო ზურიაშვილი
ჟურნალისტი

დეცენტრალიზაცია, რასაც პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის ქუთაისში გადასატანად იმიზეზებდა, ცენტრიდან პერიფერიებისკენ ძალაუფლების გადანაწილებას ნიშნავს. პარლამენტის ერთი ქალაქიდან მეორეში გადატანა კი ამასთან არაფერ შუაშია. ინსტიტუტების აქეთ-იქით გაფანტვას, უფრო დეკონცენტრაციას უწოდებენ: ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) ქუთაისში გადატანა, საკონსტიტუციო სასამართლოს – ბათუმში. რეალურად, ამ მაგალითებმაც გვაჩვენა, რომ ერთი ქალაქიდან შენობის მეორეში გადატანა ცენტრიდან მასზე კონტროლის შემცირებას არ განაპირობებს.

პარლამენტის ქუთაისში გადატანა ვერც დასაქმებას შეუწყობს ხელს. მსგავსმა შემთხვევებმა გვაჩვენა, რომ ჯერ ერთი, თბილისელებს სამსახურები დასატოვებლად არ ემეტებათ და მაქსიმალურად ცდილობენ, რეგიონებში გაყვნენ უწყებებს და მეორე, რა მნიშვნელობა აქვს ქუთაისში გეყოლება უმუშევრები თუ თბილისში?!

როგორც ფიზიკურ პირებს შეექმნებათ პრობლემები (ადამიანებს ოჯახების დატოვება უწევთ, ასევე ეზრდებათ მგზავრობის, იქ ცხოვრების ხარჯები), ამასთანავე, იზრდება სახელმწიფოს ხარჯიც – თბილისიდან ქუთაისში პარლამენტარების ცხოვრება, გადაადგილება და ა.შ.

თბილისში უამრავი მედიასაშუალება, საინიციატივო ჯგუფი და არასამთავრობო ორგანიზაციაა რეგისტრირებული. რამდენ მათგანს აქვს საშუალება დედაქალაქიდან 4 საათის სავალ მანძილზე შექმნას ბიურო, ჰყავდეს გამოცდილი კადრი?! მათი ფუნქცია კი სწორედ პარლამენტის აპარატთან მუდმივი კომუნიკაცია, სხვადასხვა თემის წამოწევა, ადვოკატირებაა.

მკითხეთ, რამდენჯერ ვარ ნამყოფი სემეკში თბილისში და მას შემდეგ, რაც თბილისიდან ქუთაისში გადაიტანეს? თბილისში ხშირად დავდიოდი, ქუთაისში რომ გადაიტანეს, რამდენჯერმე დავრეკე, კომუნიკაცია არ შედგა, ვერც ადვილად მისვლა მოვახერხე. ასე რომ, მე, როგორც ჟურნალისტმა, მასზე კონტროლი ვეღარ განვახორციელე. პარლამენტის ქუთაისში გადატანაც სწორედ კონტროლის შემცირებასა და ნაკლებ გამჭვირვალობას ემსახურება, ამიტომ აუცილებელია, რომ პარლამენტი რაც შეიძლება მალე დაბრუნდეს თბილისში.

პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება. ვინ იჩჩევს შემდეგ მთავრობას? ოდის? ობოთ?

ჯორჯ უელტონი
GeoWel Research-ის
აღმასრულებელი
დირექტორი

ყველა თანხმდება რომ, ახალი კონსტიტუციით, რომელიც ძალაში შემდეგი პრეზიდენტის არჩევის შემდეგ შედის, პრემიერ-მინისტრს მეტი ძალაუფლება ექნება. აქვე გულისხმობენ, რომ ამ დრომდე პრემიერ-მინისტრს შეზღუდული ძალაუფლება ექნება. ამაში გარკვეული სიმართლე ნამდვილად არის. მოქმედი კონსტიტუციით, პრეზიდენტს დიდი ფორმალური ძალაუფლება აქვს; მიუხედავად იმისა, რომ არსებული კონსტიტუციით მთავრობის ფორმირებას პრეზიდენტი და პარლამენტი ერთობლივად ახორციელებენ, პრეზიდენტს შეუძლია, აიძულოს პარლამენტი, პრემიერმინისტრობის და მინისტრების მისთვის

სასურველი კანდიდატების შერჩევაზე დაითანხმოს.

თუმცა, ახლანდელი პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, მოვლენების ამგვარი განვითარება ნაკლებსავარაუდოა. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ უკვე აღნიშნა, რომ მზადაა, დათმოს პრეზიდენტის გარკვეული ძალაუფლებები და მისცეს პარლამენტს საშუალება, დააკომპლექტოს მთავრობა. ეს ასეც რომ მოხდეს, „ქართული ოცნების“ მხრიდან პრეზიდენტის საკონსტიტუციო უფლებების სრული იგნორირება ბრძნული არ იქნება.

მთავრობის შერჩევის კონსტიტუციური პროცესის მიხედვით, ნორმალურ სიტუაციაში პრეზიდენტი უნდა შეუთანხმდეს პრემიერმინისტრობის კანდიდატს და პარლამენტს მთავრობის მთელი შემადგენლობის დასამტკიცებლად.

კონსტიტუციის 73-ე მუხლი პრეზიდენტის უფლებამოსილებებს გვაცნობს. ჩვენთვის ყველაზე რელევანტური შემდეგი ნაწილებია:

„საქართველოს პრეზიდენტი:

ბ) ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, თანხმობას აძლევს პრემიერ-მინისტრს მთავრობის წევრის – მინისტრის დანიშვნაზე; (6.02.2004, N3272)

გ) უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში გადააყენოს მთავრობა, თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები. (10.10.2008 N344)”

81-ე მუხლი კი ხსნის პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის ურთიერთობას მთავრობის წევრების დანიშვნის პროცესში (მთავრობა განსაზღვრულია, როგორც პრემერ-მინისტრი და სხვა მინისტრები). ძველ მთავრობას უფლებამოსილება ეხსნება ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან (რაც უნდა მოხდეს არჩევნებიდან არაუმეტეს 20 დღის შემდეგ). ამის მერე პრეზიდენტს აქვს 7 დღე პრემიერმინისტრობის კანდიდატის შესარჩევად, შემდეგ კი პრემიერმინისტრობის კანდიდატს აქვს 10 დღე მინისტრთა კაბინეტის დასაკომპლექტებლად.

შემდეგ პრეზიდენტი წარადგენს პრემიერ-მინისტრს და მინისტრებს დასამტკიცებლად პარლამენტში. პარლამენტს 3 დღე აქვს მთავრობის დასამტკიცებლად. მთავრობის დასამტკიცებლად საკმარისია უბრალო უმრავლესობა. კონსტიტუცია აძლევს პრეზიდენტს თავდაცვის, შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების პირდაპირ გათავისუფლების უფლებას, თუმცა მისი უფლება ამ მინისტრების პირდაპირი დანიშვნის შესახებ კონსტიტუციაში მკაფიოდ არ იკვეთება.

თუ პარლამენტი მთავრობას არ დაამტკიცებს, მთელი ეს პროცესი თავიდან იწყება. თუ პარლამენტი პრეზიდენტის შემოთავაზებულ პრემიერმინისტრობის და მინისტრების კანდიდატებს სამჯერ უარყოფს, მაშინ პრეზიდენტს აქვს პრემიერ-მინისტრის და მინისტრების პირდაპირ დანიშვნის უფლება.

ასეთი შემთხვევა არჩევნებს შორის, სადღაც შუაში რომ მომხდარიყო, ის გამოიწვევდა რიგგარეშე საპარლა-

მენტო არჩევნებს. თუმცა, კონსტიტუციის 51-ე მუხლის შესაბამისად, პრეზიდენტს არ აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებიდან 6 თვის განმავლობაში ან საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

შესაბამისად, პრეზიდენტს, პრინციპში, შეუძლია, აიძულოს პარლამენტი მიიღოს ისეთი მთავრობა, რომელიც მას არ მოწონს. პარლამენტს ამ შემთხვევაში რჩება მხოლოდ მთავრობისთვის უპირობო უნდობლობის გამოცხადების გზა. უპირობო უნდობლობის გამოსაცხადებლად საჭიროა 90 ხმა.

ეს ყველაფერი იმის მანიშნებელია, რომ პრეზიდენტს ახალი მთავრობის შერჩევისას გარკვეული უპირატესობა აქვს.

თუმცა, ნაკლებსავარაუდოა, რომ პრეზიდენტი საკაშვილი სრულად გამოიყენებს პარლამენტის იგნორირების კონსტიტუციურ უფლებას.

გარდა ამისა, „ქართულ ოცნებისთვის“/პარლამენტისთვის პრეზიდენტის სრული იგნორირება ბრძნული არ იქნება. თუ რომელიმე მხარე არაგონივრულად მოიქცევა და გამოიწვევს კონსტიტუციურ კრიზისს, საბოლოოდ, არბიტრი ამომრჩეველი იქნება.

თუ პრეზიდენტი არ მისცემს საშუალებას პარლამენტს, დააკომპლექტოს მისთვის სასურველი მთავრობა, ამან შეიძლება გამოიწვიოს კონსტიტუციური კრიზისი და ნამდვილად შეურყევს პრეზიდენტს და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას იმ დადებით რეპუტაციას, რომელიც მან ძალაუფლების ელეგანტური გადაცემის დაშვებით მოიპოვა.

გარდა ამისა, „ქართულ ოცნებისთვის“/პარლამენტისთვის პრეზიდენტის სრული იგნორირება ბრძნული არ იქნება. თუ რომელიმე მხარე არაგონივრულად მოიქცევა და გამოიწვევს კონსტიტუციურ კრიზისს, საბოლოოდ, არბიტრი ამომრჩეველი იქნება. შესაბამისად, მომავალი წლის განმავლობაში მაინც, დღის წესრიგში მოლაპარაკებები და დათმობები იქნება. ეს კი ცუდი რამ ნამდვილად არ უნდა იყოს.

შენიშვნა: სტატია დაიწერა კონსტიტუციური სამართლის სპეციალისტ ვახუშტი მენაბდესთან კონსტიტუციის დეტალური განხილვის შემდეგ.

Radio Commersant
marketing@commersant.ge
+995 32 2505 955

ბიზნესის პერსონალური რადიო
Commersant.ge

სისტემა უნდა დაინგრიოს!

მარინა მუსხელიშვილი
საზოგადოების კვლევის ცენტრის დირექტორი, პოლიტოლოგი

ბრძოლა იყო უთანასწორო, უსამართლო და დამქანცველი. მაგრამ ჩვენ მოვიგეთ. მოიგო საზოგადოებამ სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ. საზოგადოებამ, როგორც ძალაუფლების სუვერენმა, ძალადობის მექანიზმი დაამარცხა. სისტემა შეირყა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არ დანგრეულა, ხოლო არსებული რეჟიმი აგრძელებს ბრძოლას გადარჩენისთვის.

2003 წლის საპარლამენტო არჩევნებს შევარდნაძის გადადგომა მოყვა, 2012 წლის მოვლენები კი სხვა სცენარით ვითარდება. ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო კამპანია, მართალია, პირადად პრეზიდენტს მიჰყავდა, მაგრამ ამ კამპანიის შედეგად უმცირესობაში აღმოჩენილი პრეზიდენტი თავს საპარლამენტო უმცირესობასთან აიგივებს და „ოპოზიციაში გადადის“. სააკაშვილს, შევარდნაძისგან განსხვავებით, საზოგადოების თვალში ლეგიტიმაციის დაკარგვა გადადგომისთვის საკმარის საფუძვლად არ მიაჩნია.

„ოპოზიციაში“ ყოფნა სააკაშვილისთვის უფრო ორგანულია, ვიდრე ხელისუფლებაში. მისი პოლიტიკური რიტორიკა ამ როლზე უფრო კარგადაა მორგებული. როგორც სააკაშვილი, ასევე ჟვანია, შევარდნაძის პერიოდში წარმატებით ითავსებდნენ ოპოზიციონერობასა და საპასუხისმგებლო თანამდებობებს, საჯაროდ აკრიტიკებდნენ თავისივე დანიშნულ მინისტრებსა და მთავრობას და მათ საქმიანობას ბლოკავდნენ. იმის მერეც კი, რაც სააკაშვილმა მთელი ძალაუფლება თავის ხელში მოაქცია, მას „ოპოზიციონერობისთვის“ არ უღალატია, ოღონდ ამჯერად ქვეყნის გარეთ მყოფ ლიდერს, პუტინს დაუპირისპირდა. დაჩაგრული „ოპოზიციონერის“ როლი სააკაშვილისთვის იმდენად ორგანულია, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის შემდეგ მან უნებლიეთ ამ როლის გადმოსახედიდან დაიწყო მოქმედება, რამაც სავარაუდოდ განაპირობა კიდეც მისი არჩევნებში დამარცხება.

რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს ქვეყნის პირველი პირის მიერ, რომელსაც კონსტიტუციით მმართველობის თითქმის ყველა სადავე უპყრია, ოპოზიციონერის როლის მორგება, ოპოზიციაში გადასვლაზე განცხადების გაკეთებით სააკაშვილმა მოახერხა დემორალიზებული მომხრეებისთვისა და თავისი გუნდისთვის სამოქმედო სტრატეგიის წარმოჩენა. ეს სტრატეგია ნათელია: ივანიშვილი უნდა გახდეს ახალი შევარდნაძე. მას უნდა დაეკისროს მთელი პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე და, იმავდროულად, არ უნდა მიეცეს საშუალება განახორციელოს რამე ისეთი, რასაც ის საზოგადოებას დაჰპირდა. პარლამენტის საქმიანობა საბოტაჟის ფონზე, არაეფექტური აღმოჩნდება, ხოლო „ქართული ოცნება“ საზოგადოების მხარდაჭერას დაკარგავს, რაც ნაციონალური მოძრაობის მიერ ძალაუფლების დაბრუნების შანსებს გააჩენს.

ის, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ საჭირო გახდებოდა გარკვეული გარდამავალი პერიოდის გავლა მანამ, სანამ ეს გამარჯვება რეჟიმის ცვლილებით დაგვირგვინდებოდა, „ქართული ოცნებისთვის“ იმთავითვე ცხადი იყო. მაგრამ სანამ არჩევნების შემდგომი ძალთა ბალანსი გაირკვეოდა, იმაზე, თუ როგორ წარიმართებოდა ეს პერიოდი, საჯაროდ არ უმსჯელიათ.

სავარაუდო სცენარები, რომლებიც საზოგადოებაში განიხილება, მრავალფეროვანია. სააკაშვილის შემრიგებლური განცხადების შემდეგ, როდესაც მან „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობაზე ილაპარაკა, მოსალოდნელია ვაჭრობის გარკვეული პერიოდი, როდესაც თანამდებობების, და, შესაბამისად, ძალაუფლების გადანაწილებაზე იქნება საუბარი. ამ ვაჭრობაში ორივე მხარეს აქვს თავისი არგუმენტები: სააკაშვილს კონსტიტუციურად აქვს უფლება პარლამენტს განსახილველად წარუდგინოს თავისი კანდიდატები მაღალ თანამდებობებზე. პარლამენტს არა აქვს შესაძლებლობა მთავრობა დამოუკიდებლად დააკომპლექტოს. თავის მხრივ, „ქართულ ოცნებას“ აქვს ბრალდებების მთელი ნუსხა, და შეუძლია სამართლებრივი დავები ცალკეული ლიდერების წინააღმდეგ, პრეზიდენტის იმპიჩმენტის ორგანიზებაც კი. კომპრომისის ვერმიღწევის შემთხვევაში სააკაშვილს აქვს თეორიული შესაძლებლობა მართვის სადავეები საპრეზიდენტო არჩევნებამდე შეინარჩუნოს, ხოლო „ქართულ ოცნებას“ თეორიულად შეუძლია პარლამენტის წევრთა ორი მესამედი შეაგროვოს (რისთვისაც მას დასჭირდება ნაციონალური მოძრაობის სახელით არჩეული რამდენიმე დეპუტატი გადაიბიროს) და პრეზიდენტის იმპიჩმენტი გამოაცხადოს. სხვა შესაძლო სცენარები მოიცავს: კოალიციური მთავრობის შექმნას; 6 თვის მერე ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას; საპრეზიდენტო არჩევნებს გაზაფხულზე; კონსტიტუციური ველიდან გასვლას; არ არის გამორიცხული სხვა სცენარებიც, რომელთა მოსაფიქრებლად ავტორს ფანტაზია არ ყოფნის.

ცხადია, რომ ამ ვითარებაზე დამატებით გავლენას მოახდენს ორი არაუშუალო მონაწილე: საერთაშორისო თანამეგობრობა შეეცდება ხელი შეუწყოს თანამშრომლობას, სტაბილურობასა და კომპრომისების მიღწევას; ქართუ-

„ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობა, თბილისი 2012

ფოტო: ირაკლი ზარიანიძის

ლი საზოგადოება, საპირისპიროდ, წინა რეჟიმის სათანადო დასჯასა და სამართლიანობის აღდგენას დააყენებს დღის წესრიგში.

გარდამავალი პერიოდის წარმატებით გადალახვისთვის „ქართულ ოცნებას“ სწორი პოლიტიკური სტრატეგიის შერჩევა მოუწევს. ეს არჩევანი საკმაოდ მარტივია და ორი შესაძლებლობით იფარგლება: ნაციონალური მოძრაობის ლეგიტიმურ ოპოზიციად აღიარება თუ მისი, როგორც დანაშაულებრივი და არადემოკრატიული რეჟიმის შემოქმედის, დელეგიტიმაცია. პირველ შემთხვევაში ხერხდება მოკლევადიან პერსპექტივაში ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველყოფა და სოციო-ეკონომიკური პრობლემების მოგვარების დაწყება, ხოლო სისტემური ცვლილებები უფრო შორეული მომავლის ნაწილი ხდება. მეორე შემთხვევაში „ქართულმა ოცნებამ“ უნდა აიღოს მინიმალური პასუხისგმებლობა ქვეყნის მიმდინარე მმართველობაზე, ხოლო მთელი თავისი ძალისხმევა მიმართოს პრეზიდენტისა და მისი გუნდის სამართლებრივ დევნაზე, წინა რეჟიმის დროს ჩადენილ დანაშაულობათა მხილებაზე და სისტემური ცვლილებების მიღწევაზე. ამ შემთხვევაში სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებამ შესაძლოა კიდევ ერთი წლით გადაინაცვლოს.

როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებას“ რაღაც პერიოდის განმავლობაში ამ ორ სტრატეგიას შორის მანევრირება ელის, სანამ ის ძალაუფლებას თავის ხელში საბოლოოდ აიღებს. არც ერთი და არც მეორე გზა არ უნდა იყოს უგულებელყოფილი და მოჭრილი.

ვინაიდან ხელისუფლების ცვლილება ხდება არა რევოლუციურად, არამედ არჩევნების გზით, „ქართულ ოცნებას“ ნებისმიერ შემთხვევაში რაღაც დოზით მოუწევს წინამორბედ რეჟიმთან პასუხისმგებლობის გაზიარება, თუნდაც როგორც მის სამართალმემკვიდრეს. ეს კი აჩენს იმის საშიშროებას, რომ ბევრი უსამართლობა და დანაშაული, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ჩაიდინა, დაუსჯელი დარჩება, რაც საზოგადოებას სისტემური ტრანსფორმაციის იმედს გაუცრუებს. ყველაზე დიდი მახე, რომელშიც „ქართული ოცნება“ შეიძლება გაებას, არის პასუხისმგებლობის აღება იმაზე, რის შესაცვლელადაც ის იბრძოდა ერთი წლის განმავლობაში.

ამიტომ მიმაჩნია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტის დაქვემდებარებაში დაუყოვნებლივ უნდა შექმნას საგამოძიებო კომისია, რომელიც ერთგვარი „კონტროლის პალატის“ ფუნქციას შეასრულებს. კომისიის ძირითადი დანიშნულება უნდა გახდეს ახალი პოლიტიკური ძალის მიერ ასაღები პასუხისმგებლობების „გაფილტვრა“ იმ დანაშაულებრივი ქმედებებისგან, რომლებიც წინა ცხრა წლის განმავლობაში იყო ჩადენილი. კომისია უნდა იყოს არაპარტიული, კვალიფიციური, მრავალრიცხოვანი და სანდო. ის უნდა დაექვემდებაროს საზოგადოებრივ კონტროლს და იმოქმედოს უცხოელ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, რათა გამოირიცხოს ძალაუფლების გადამეტებისა და შურისძიების მცდელობის ეჭვი.

ამ არჩევნებში საზოგადოებამ ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“. მაგრამ ამასთან, მან ხმა მისცა ნაციონალური მოძრაობის რეჟიმისთვის ძალაუფლების ჩამორთმევას, სამართლიანობის აღდგენასა და სისტემის ცვლილებას. ყველა ვალდებულია, ამ არჩევანს პატივი სცეს.

ფოტო: ლევან ხარბედია

ახალი კონსტიტუციური წესრიგი

ინტერვიუ სამართალმცოდნე

ვახტანგ ხმალაძესთან

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში პოლიტიკურ ძალთა ბალანსი დრამატულად შეიცვალა. უკვე ცნობილია, რომ პარლამენტში უმრავლესობას კოალიცია „ქართული ოცნება“ მოიპოვებს, თუმცა, მოქმედ ხელისუფლებას კონსტიტუციით განსაზღვრული აღმასრულებელი ხელისუფლება ჯერ კიდევ ხელთ აქვს. როგორი იქნება ახალი კონსტიტუციური წესრიგი? ამ თემაზე „ლიბერალი“ კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძეს ესაუბრა. აღსანიშნავია, რომ ხმალაძე, „ქართული ოცნების“ რიგებიდან კენჭს დიდუბის მაჟორიტარ კანდიდატად იყრიდა, და თავისი მოწინააღმდეგე დიდი უპირატესობით, 71% 25%-ის წინააღმდეგ, დაამარცხა.

ბოლო მონაცემებით, როგორ ნაწილდება ძალთა ბალანსი პარლამენტში?

ამაზე საუბარი ძნელია, რადგან ჯერ რამდენიმე სადავო უბანი და ოლქი არსებობს. თუ ისინი გაბათილდა, ეს გავლენას პროპორციულ სიაზე მოახდენს. თუმცა, ვფიქრობ, დაახლოებით 90 მანდატს ავიღებთ.

ამ რაოდენობის მანდატი რა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს?

ჩვეულებრივი კანონის მიღებას დამსწრეთა ნახევარზე მეტი სჭირდება, და ეს უნდა იყოს პარლამენტის არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ორგანული კანონის მიღებას კი სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი ხმა სჭირდება. კონსტიტუციური კანონის მისაღებად მინიმუმ 100 ხმაა საჭირო. შეძლებს საპარლამენტო უმრავლესობა დამოუკიდებლად კონსტიტუციური კანონის მიღებას? – როგორც ჩანს, ვერა.

თუმცა, ჩვეულებრივ და ორგანულ კანონებთან დაკავშირებითაც პრობლემა არსებობს, რადგან პრეზიდენტს კანონისთვის ვეტოს დადება შეუძლია. ვეტოს დასაძლევად 60%-იანი უმრავლესობა, ანუ 90 მანდატია საჭირო. თუ პრეზიდენტი კონფრონტაციაზე წამოვა და „ქართულ ოცნებას“ 90 მანდატი არ ექნება, პარლამენტის მიღებული კანონები ჩავარდება. ეს იმ პოლიტიკის გატარებისთვის, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს გაცხადებული, სერიოზულ პრობლემებს შექმნის. რჩება სხვა შესაძლებლობაც: შესაძლოა, ნაციონალურ მოძრაობაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ან პირდაპირ გადახტებიან სხვის ნავში, ან თუ მთლად არ გადახტნენ, ნავის ბორტს მაინც მოკიდებენ. 90 მანდატიანი მხარდაჭერის პირობებში კანონების მიღებას პრობლემა არ შეექმნება, თუმცა საკონსტიტუციო ცვლილებებს ვერ მივიღებთ.

სავარაუდოდ, საკონსტიტუციო უმრავლესობა არ გექნებათ, აპირებთ თუ არა ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას?

ვნახოთ, თუ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, პროცესები ძალიან გართულდება.

მოქმედი კონსტიტუციით ხელისუფლების შტოებს შორის როგორი ძალთა ბალანსია?

ყველაზე მეტი ძალაუფლება პრეზიდენტს აქვს, ეს განუზომლად დიდი უფლებებია. თუ მან იმ ინტერესების მიხედვით არ იმოქმედა, რომელიც საქართველოს მოქალაქეთა უმეტესმა ნაწილმა არჩევნებში გამოხატა, მაშინ მას პარლამენტისთვის დიდი პრობლემების შექმნა შეუძლია და ამით ქვეყანას მძიმე პოლიტიკურ კრიზისში შეიყვანს.

გარდა კანონებზე ვეტოს დადებისა, რა პრობლემების შექმნა შეუძლია?

მაგალითად, მთავრობის ფორმირების დროს: ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის ფორმირება მთლიანად პრეზიდენტის ნებაზეა დამოკიდებული. პრეზიდენტს შეუძლია ისეთი მთავრობა შექმნას, როგორიც მას სურს და როგორის კატეგორიული წინააღმდეგიც შეიძლება იყოს საპარლამენტო უმრავლესობა.

პარლამენტის უფლებამოსილების ცნობიდან ერთი კვირის ვადაში უნდა შეარჩიოს პრემიერის კანდიდატურა, მისი წარდგინებით – მთავრობის შემადგენლობა და ნდობის მისაღებად წარუდგინოს პარლამენტს. თუ პარლამენტმა ნდობა არ გამოუცხადა და ეს სამჯერ განმეორდა, პრეზიდენტი მთავრობას თვითონ წარადგენს. ექვსი თვის განმავლობაში პარლამენტის დათხოვნა არ შეუძლია, მაგრამ მერე ამის უფლება მიეცემა...

თუმცა, კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის დათხოვნა არც საპრეზიდენტო ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში შეიძლება...

ამ ორ მონაკვეთს შორის არსებობს ლუფტი, კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის არჩევის პირველი ექვსი თვის და საპრეზიდენტო ვადის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნა არ შეუძლია, თუმცა რა ითვლება პარლამენტის ამოქმედების თარიღად? არჩევნების დღე თუ უფლებამოსილების ცნობის თარიღი? ეს განსაზღვრული არ არის. უფრო მძიმე მდგომარეობაა პრეზიდენტობის ვადის ბოლო ექვსი თვის განსაზღვრის შემთხვევაში. ის იწურება იმ მომენტში, როდესაც ახლად არჩეული პრეზიდენტი ფიცს დადებს. როდის დებს ფიცს ახალი პრეზიდენტი? – უნდა გაიმართოს არჩევნები, შეჯამდეს და გამოცხადდეს მისი შედეგები. როდის იმართება პრეზიდენტის არჩევნები? კონსტიტუციის ერთადერთი ჩანაწერის მიხედვით – ოქტომბერში. მაგრამ ოქტომბერი 31 დღისგან შედგება. პრეზიდენტის არჩევნების თარიღს თავად მოქმედი პრეზიდენტი ნიშნავს. ასეთ პირობებში როგორ განვსაზღვროთ პრეზიდენტის ბოლო ექვსთვიანი ვადა? შესაბამისად, ეს ლუფტი შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს და ვინ იცის, რომელ მაისს გაუჩნდება პრეზიდენტს პარლამენტის დათხოვნის უფლება და როდის შეუწყდება? ეს ყველაფერი შეიძლება ძალიან დიდი დავის საგანი გახდეს.

გაქვთ თუ არა რაიმე გეგმა რომ ეს თეორიულად მოსალოდნელი კრიზისი თავიდან აიცილოთ?

ყველაზე ქმედითი კონსტიტუციის იმ ნაწილის შეცვლა იქნება, რომელიც პრეზიდენტს, პარლამენტს და მთავრობას ეხება, მათ შორის იმ მიმართულებით, რომ არც დღევანდელ პრეზიდენტს და არც მომავალ პრემიერს განუსაზღვრელი ძალაუფლება არ ჰქონდეთ. ახლა განუზომელი უფლებები აქვს პრეზიდენტს და ერთი წლის შემდეგ, თუ ის კონსტიტუცია ამოქმედდა, რაც განსაზღვრულია, თითქმის ასეთივე ძალაუფლება პრემიერის ხელში გადავა. ერთიც ცუდია და მეორეც. და მიუხედავად იმისა, რომ ახლა თუ არა, ერთი წლის მერე მაინც პრემიერის თანამდებობა ჩვენი იქნება, არანაირი სურვილი არ გვაქვს, რომ ასეთი უფლებებით იყოს აღჭურვილი. ყველაფერი უნდა მოწესრიგდეს. ამის მოწესრიგება კონსტიტუციური უმრავლესობის გარეშე შეუძლებელია. თუმცა, იმედს ვიტოვებ, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან ვითანამშრომლებთ, ბოლოს და ბოლოს, მათ ეს ძალაუფლება იმიტომ უნდოდათ, რომ ამის დაკარგვა ვერ წარმოედგინათ.

როგორ გესმით პრეზიდენტის განცხადება, რომ ის ოპოზიციაში გადადის?

ჯერ განვიხილოთ, რას ნიშნავს საპარლამენტო ოპოზიცია? საპარლამენტო ოპოზიციად დეპუტატების ის ნაწილი განიხილება, ვისაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში წარმომადგენელი არ ჰყავს. აღმასრულებელი ხელისუფლება ამერიკულ მოდელში პრეზიდენტია, ფრანგულში პრეზიდენტი და მთავრობა, საპარლამენტო რესპუბლიკებში – მთავრობა. ორი სცენა-

რი განვიხილოთ, ერთი კონფრონტაციული, და მეორე – თანამშრომლობის გზა. პირველის შემთხვევაში პრეზიდენტი პარლამენტის წარდგენილ კანონებს ჩააგდებს, ხოლო პარლამენტი მთავრობის წინადადებებს არ გაატარებს. ეს მძიმე კრიზისს გამოიწვევს. რაც არც ერთი ქვეყნისთვის სასურველი არაა.

თანამშრომლობის მოდელის შემთხვევაში, პრეზიდენტი, რომელიც უმცირესობას მისი თავმჯდომარის სახით წარმოადგენს, საპარლამენტო უმრავლესობას მათთვის სასურველ მთავრობას წარუდგენს. ასეთი მოდელი მრავალი ათეული წელია საფრანგეთშიც მუშაობს. ასეთი სიტუაცია იქაც არაერთხელ შექმნილა, რადგან პრეზიდენტი 7 წლის ვადით ირჩევა, პარლამენტი კი – 4 წლის ვადით. ხშირად პრეზიდენტი ყოფილა მემარცხენე, პარლამენტში კი უმრავლესობა მემარჯვენეებს ჰქონიათ, ზოგჯერ უმრავლესობას კვლავ მემარცხენეები იბრუნებდნენ და ა.შ. როდესაც პრეზიდენტს პარლამენტში უმრავლესობა ჰყავდა, მაშინ ის ქვეყნის რეალური პირველი პირი იყო და ქვეყანას მართავდა, ამ დროს პრემიერ-მინისტრი უფრო ჩრდილშია, რადგან პრეზიდენტი და პრემიერი ერთი გუნდის წევრია. მაგრამ როდესაც პარლამენტში უმრავლესობას სხვა ძალა მოიპოვებდა, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს საფრანგეთშიც აქვს პრემიერის დანიშვნის უფლება, როგორც წესი, ამას არ აკეთებდა. პრეზიდენტი გადადიოდა ჩრდილში და ფაქტობრივი ხელისუფალი პრემიერი ხდებოდა.

ანუ, ამ მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, პრობლემა მხოლოდ კონსტიტუციაში არ არის?

კონსტიტუციაშიც არის და საზოგადოებაშიც. ჯერ ერთი, ჩვენი მოდელი უფრო მძიმეა, აქ პრეზიდენტს გაცილებით მეტი უფლებები აქვს. მაგრამ, ზოგადად, როდესაც პრეზიდენტს აქვს ორი შესაძლებლობა – ან ასე მოიქცეს, ან ისე, ეს ნაკლებ სახიფათოა დიდი დემოკრატიული კულტურის ქვეყანაში და უაღრესად სახიფათო – ჩვენთვის.

საკაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში გადადის, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას ნაციონალური მოძრაობა აღარ დააკომპლექტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციაში უმცირესობა კი არა, უმრავლესობა იქნება. და მივიღებთ უმცირესობის მთავრობას. პრეზიდენტმა მეორე წინადადებაც თქვა და დააზუსტა, რომ პარლამენტი მთავრობას თავად ჩამოაყალიბებს და ხელს არ შევუშლიო. ასეთივე განცხადებები პარლამენტის თავმჯდომარემ და უშიშროების საბჭოს მდივანმა გააკეთეს, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სიტყვას არ შეცვლიან.

მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრეზიდენტს მოქმედი კონსტიტუციით ნებისმიერ დროს, ყოველგვარი

■ საკაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა ოპოზიციაში გადადის, ეს იმას ნიშნავს, რომ მთავრობას ნაციონალური მოძრაობა აღარ დააკომპლექტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპოზიციაში უმცირესობა კი არა, უმრავლესობა იქნება. და მივიღებთ უმცირესობის მთავრობას.

დასაბუთების გარეშე პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლება შეუძლია. პრემიერის გათავისუფლებას კი ყველა მინისტრის გადადგომა მოჰყვება. რა მომენტში გადაუბრუნდებათ ჭკუა? ეს არ ვიცით. კონსტიტუციის ეს ნორმა დამოკლეს მახვილივით იქნება დაკიდებული ქვეყნის თავზე.

ჩვენ აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილებაზე ვსაუბრობთ. თავის მხრივ, პარლამენტს პრეზიდენტის მიერ დანიშნული მთავრობისთვის რა წინააღმდეგობის განევა შეუძლია?

მაგალითად, არ შეიტანოს ისეთი ცვლილებები, რომელიც მთავრობას უნდა, ჩააგდოს მისი წინადადებები და ა.შ. თუმცა, პარლამენტს ბიუჯეტზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია. ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებაში პირველი სიტყვა მთავრობას ეკუთვნის. ყველა ნორმალურ ქვეყანაში კი ბოლო სიტყვა პარლამენტისაა. ანუ მთავრობა წარადგენს და პარლამენტი ამტკიცებს. მაგრამ, ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით, თუ პარლამენტმა არ დაამტკიცა, მაშინ ამის გაკეთება პრეზიდენტს შეუძლია. პარლამენტს წართმეული აქვს ისეთი უფლება, რაც საფუძველშივე ეწინააღმდეგება კონსტიტუციონალიზმის პრინციპებს. პარლამენტი ხომ იმიტომ გაჩნდა, რომ გადასახადები დაედგინა და აღმასრულებელი ხელისუფლების ფინანსების ხარჯვა გაეკონტროლებინა.

გარდა ზემოთ დასახელებული პრობლემებისა, რა არის ის მთავარი საკითხები, რაც, თქვენი აზრით, კონსტიტუციაში შესაცვლელია?

ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს, თუმცა, რამდენიმე მთავარ საკითხს გამოვყოფ: გასაძლიერებელია პარლამენტის ფუნქციები, მთავრობასთან მიმართებით. პარლამენტს რეალური უფლებამოსილება უნდა გააჩნდეს, რომ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადოს. უნდა მოქმედებდეს უნდობლობის კონსტრუქციული ვოტუმის პრინციპი. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა, რომ ქვეყანა პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის გარეშე არცერთი დღე არ დარჩეს. ვერ გადააყენებ მთავრობას, თუ თავიდანვე არ გაქვს განსაზღვრული, ვინ იქნება ახალი პრემიერი. ასეთი მოდელია გერმანიაში და სტაბილური მთავრობის გარანტიას იძლევა.

პარლამენტს საკონტროლო ფუნქციები უნდა გაუძლიერდეს, რათა მთავრობამ არ გადაუხვიოს კანონს, არ გადაუხვიოს აღებულ კურსს. ამაში ისიც იგულისხმება, რომ მაკონტროლებელი ფუნქციები ოპოზიციასაც ჰქონდეს. მოსწონს თუ არა, უმრავლესობას, რომ მისი მთავრობა ოპოზიციამ უნდა აკონტროლოს, ეს მაინც სრულიად აუცილებელია. ამის გარეშე გაწონასწორებული ხელისუფლება არ გვექნება.

ესაუბრა ზურაბ ვარდიაშვილი.

თქვენი რადიო - ხიდი მსოფლიოსთან

98.5

TOTALIZATOR

ხუბლიდი

არჩევნების დღეს და შემდეგ

პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, ზუგდიდი მედიის, ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. კოალიცია „ქართული ოცნება“ აცხადებდა, რომ მათი კანდიდატის, ირაკლი ალასანიას დამარცხება გაყალბების შედეგი იყო და ამომრჩევლების ხმებს კანონის ფარგლებში ნებისმიერ ფასად დაიცავდნენ.

ავტორი, ფოტო: გიორგი გოგუა

თბილისში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ზეიმია; პრეზიდენტი ოფიციალურ განცხადებას აკეთებს და „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას აღიარებს; ზუგდიდში კი, ირაკლი ალასანია ამომრჩევლებს მიმართავს: „ახლა იწყება ყველაზე სერიოზული ბრძოლა – ბრძოლა ჩვენი არჩევანის დაცვისა. მე, როგორც დავპირდი ზუგდიდს, ერთ ხმასაც არ გავაყალბებინებ...“

აქციაზე, დემონსტრანტების მსგავსად, სამართალდამცავებიც სხვადასხვა რაიონიდან იყვნენ ჩამოყვანილები.

ხუთშაბათია, ოთხი ოქტომბერი – საპარლამენტი არჩევნები სამი დღის წინ დამთავრდა, ოღონდ – არა ზუგდიდში და არა – ირაკლი ალასანიას საარჩევნო შტაბში. ზუგდიდის №67 საარჩევნო ოლქში ხმაურია. კომისიის წევრები კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წინა დღეს შეტანილი საჩივრის განხილვას იწყებენ.

სულ რამდენიმე საათით ადრე, შენობის წინ ათასობით დემონსტრანტი იყო შეკრებილი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, როლანდ ახალაიას წინააღმდეგ ხმამაღალი მოწოდებებით გამოდიოდა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, ახალაიამ „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატს ირაკლი ალასანიას, დაახლოებით 12 %-ით, მოუგო. „ქართული ოცნება“ ახალაიას გამარჯვებას არ აღიარებს.

კოალიციამ საარჩევნო ოლქში საჩივარი სამ ოქტომბერს, საღამოს ექვსი საათისთვის შეიტანა და მტკიცებულებების სახით თან სხვადასხვა უბანზე დარღვევების ამსახველი ფოტო-ვიდეო და სხვა სახის მასალა დაურთო.

ამ მასალას ირაკლი ალასანიას საარჩევნო შტაბში სამი დღის განმავლობაში აგროვებდნენ. არჩევნების დღეს, ორშაბათს, შუადღისას, შტაბის ცხელ ხაზზე, დარღვევების შესახებ ინფორმაცია ათამდე ოპერატორთან განუწყვეტლივ შემოდიოდა.

ზუგდიდის რაიონის 109-ვე საარჩევნო უბანზე კამერები ხმის მიცემის პროცესს თავიდან ბოლომდე ასახავენ; მობილური ჯგუფები დარღვევების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე მითითებულ საარჩევნო უბანთან გადიან; საარჩევნო შტაბთან დილიდანვე დგანან მხარდამჭერები და არჩევნების შედეგებს ელოდებიან.

დღის განმავლობაში ამბები სხვა რეგიონებიდანაც შემოდის. „ქართული ოცნება“ ქვეყნის უმეტეს ნაწილში ლიდერობს – აქ უკვე გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს. თუმცა, ეს მილოცვები ზუგდიდს არ ეხება. აქ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი, როლანდ ახალაია ხმათა დიდი უპირატესობით იგებს.

ალასანიას საარჩევნო შტაბში ამბობენ, რომ ზუგდიდში გამარჯვება მათთვის პრინციპული საკითხია.

საღამოს რვა საათზე, ირაკლი ალასანიას შტაბის წინ შეკრებილი მცირერიცხოვანი მხარდამჭერები საქართველოს მასშტაბით „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ზეიმობენ, შტაბის შიგნით კი ალასანიას შედეგების გამო ნერვიულობენ. თბილისში „ქართული ოცნების“ მხარდამჭერების ზეიმია; პრეზიდენტი ოფიციალურ განცხადებას აკეთებს და „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებას აღიარებს; ზუგდიდში კი, ირაკლი ალასანია ამომრჩევლებს მიმართავს: „ახლა იწყება ყველაზე



დემონსტრანტები როლანდ ახალაიასგან დამარცხების აღიარებას მოითხოვდნენ.

სერიოზული ბრძოლა – ბრძოლა ჩვენი არჩევანის დაცვისა. მე, როგორც დავპირდი ზუგდიდს, ერთ ხმასაც არ გავაყალბებინებ...“

ალასანიას საარჩევნო შტაბში სამშაბათსაც ხალხმრავლობაა, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბისგან, სადაც მხოლოდ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებიღა არიან დარჩენილები, როგორც ამბობენ, ქალაქში „ნაციონალების“ ლიდერები არ იმყოფებიან. შტაბის უფროსი ლაშა დამენიაც კი თბილისშია წასული. „ლიბერალთან“ სატელეფონო საუბარში ის ამბობს, რომ მათ საარჩევნო წესები არ დაურღვევიათ: „თუ ვინმეს უნდა, ჩვენ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს, საჭიროა, ამის მტკიცებულებებიც ჰქონდეს“.

ირაკლი ალასანიას პრესმდივნის, ვაკო ავალიანის თქმით, „ქართული ოცნების“ ადვოკატებმა საჩივარი 60 საარჩევნო უბანზე დაწერეს: „აქ უამრავი ფაქტია გასაჩივრებული, დაწყებული პროცედურული დარღვევებიდან, ე.წ. „კარუსელით“ დამთავრებული“. ავალიანი ამბობს, რომ 40-მდე უბნის ოქმებში ხმათა ბალანსი არ არის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთმანეთს არ ემთხვევა უბანზე თავდაპირველად შეტანილი და გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობა.

სამშაბათს, დღის მეორე ნახევარში, „ქართული ოცნების“ შტაბში არჩევნების გაყალბების ახალ მტკიცებულებებზეც საუბრობენ. ამ თემაზე შტაბის უფროსი, ირაკლი ჩიქოვანი ბრიფინგსაც მართავს. საქმე ათამდე ბიულეტენს ეხება, რომელიც ანონიმურმა პირმა მათ ოფისში დატოვა: ყველა ბიულეტენზე „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ნომერი, „5“-ია შემოხაზული. ბრიფინგზე ჩიქოვანი განმარტავს, ეს არის მტკიცებულება იმისა, რომ ყუთებში ამომრჩევლებს „ზოგს ნებით, ზოგს უნებლიეთ, აძალებდნენ, სწორედ მსგავსი ბიულეტენები ჩაეყარათ. მისი თქმით, ამის ამსახველი ვიდეომასალაც არსებობს“.

პარალელურად, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი დევნილი ახალგაზრდები ზუგდიდში, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობასთან, აქციას მართავენ, ლოზუნგით – „დევნილების ხმების ქურდებო“. მათი მტკიცებით, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მათი ხმები გააყალბა, რაშიც ისინი, პირველ რიგში, აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებს ადანაშაულებენ.

მიუხედავად ყველაფრისა, ირაკლი ალასანიას საარჩევნო შტაბის წევრები ზუგდიდის N67 საოლქო საარჩევნო კომისიაში საჩივრის შეტანას არ ჩქარობენ. მათი თქმით, ყველა დეტალი ზუსტად უნდა გაითვალოს, რომ კომისიამ მის განხილვაზე უარი არ თქვას.

საოლქო საარჩევნო კომისიაში „ქართული ოცნების“ საჩივარი არჩევნებიდან მხოლოდ მესამე დღეს, ოთხშა-



ირაკლი ალასანიას გამოჩენას ხალხში ხმამაღალი შეძახილები მოჰყვა.

ბათს, საღამოს 6 საათისათვის შედის. მომჩივნები ამბობენ, რომ, თავიანთი პოზიციის დასაცავად ყველა სამართლებრივ ზომას მიმართავენ.

ამასთან, ზუგდიდის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაიგეგმა ფართომასშტაბიანი აქცია ლოზუნგით – „დააბრუნეთ მოპარული ხმები“. აქცია ხუთშაბათს, დღის სამ საათზე უნდა გაიმართოს, ზუსტად იმ დროს, როდესაც კომისია „ქართული ოცნების“ საჩივრის განხილვას დაიწყებს.

ქალაქში დაძაბულობა პიკს სწორედ ხუთშაბათს, სამი საათისათვის აღწევს. აქ კოალიციის მხარდამჭერები სამეგრელოს სხვადასხვა რაიონიდან ჩამოდიან. ზუგდიდისაკენ მიმავალ გზებზე სამარშრუტო ტაქსების კოლონებია. აქციაზე ლიდერები ჯერ არ გამოჩენილან, თუმცა დემონსტრანტები ხმაურიან შეძახილებს არ წყვეტენ: „წადი! წადი!“ „დააბრუნეთ მოპარული ხმები!“, „როლანდ ახალაია – ხმების ქურდი!“, „როლანდ ახალაია ჯალათების მამა!“ „გაიღვიძე როლანდ!“

საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან პოლიციაც მობილიზებულია. აქციის მონაწილეების მსგავსად, ისინიც სხვადასხვა რაიონიდან არიან შეკრებილები: შენობის ირგვლივ ასზე მეტი სამართალდამცავი დგას.

დემონსტრანტების ხმაურიანი შეძახილები განსაკუთრებით მაშინ ძლიერდება, როდესაც აქციაზე ირაკლი ალასანია მოდის. მხარდამჭერები მისგან რადიკალური ნაბიჯების გადადგმას მოელიან, თუმცა, ყველასათვის მოულოდნელად, „ქართული ოცნების“ კანდიდატი მათ ტერიტორიის დატოვებისა და აქციის დადიანების სასახლესთან გაგრძელებისაკენ მოუწოდებს. „საარჩევნო კომისიას წყნარად, მშვიდ გარემოში მუშაობის საშუალება უნდა მივცეთ“, – აცხადებს ალასანია და ტერიტორიაც ნელ-ნელა თავისუფლდება ხალხისგან.

მას შემდეგ, რაც ირაკლი ალასანიას დემონსტრანტები დადიანების სასახლისაკენ გადაჰყავს, საოლქო საარჩევნო კომისიას ამერიკის ელჩი, რიჩარდ ნორლანდი სტუმრობს. შენობაში ის რამდენიმე წუთს, პრესის დასწრების გარეშე ატარებს, ხოლო იქიდან გამოსვლისთანავე ჟურნალისტებთან განცხადებას აკეთებს:

„მე აქ საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსით ვიმყოფები და ვაკვირდები გადათვლის საბოლოო პროცესს. მდგომარეობა ზუგდიდში ამჟამად ისეთია, რომ ხმების გადათვლა საბოლოოდ დასრულებული არ არის და ორივე მხარე გამოთქვამს წუხილს და სურვილს, რომ პროცესი სწორად წარიმართოს“, – ამბობს ის და საქართველოს მოსახლეობას არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებას ულოცავს.

ნორლანდი ზუგდიდში ირაკლი ალასანიასაც ესაუბრა, თუმცა საუბრის დეტალები არ გასაჯაროებულა.

აქციის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიაში ამერიკის ელჩი, რიჩარდ ნორლანდი მივიდა.

ხმაური სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლად გიორგი ბარამიძის გამოჩენამ გამოიწვია. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ბარამიძისთვის საშვი 4 ოქტომბერს იყო გაცემული, არადა პარტიას წარმომადგენლის არჩევის უფლება მხოლოდ არჩევნების დღემდე აქვს.

ამერიკის ელჩისათვის ეს ზუგდიდში პირველი ვიზიტი არ ყოფილა. ის ქალაქში ათი დღით ადრეც იმყოფებოდა. რიჩარდ ნორლანდი წინასაარჩევნო პროცესის მიმდინარეობით იყო დაინტერესებული და „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს ესაუბრა.

ზუგდიდის 67-ე საარჩევნო ოლქში „ქართული ოცნების“ საჩივრის განხილვის სხდომა მხარეებს შორის დაპირისპირებით დაიწყო. ხმაური სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლად გიორგი ბარამიძის გამოჩენამ გამოიწვია. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ბარამიძისთვის საშვი 4 ოქტომბერს იყო გაცემული, არადა პარტიას წარმომადგენლის არჩევის უფლება მხოლოდ არჩევნების დღემდე აქვს. იურისტ დავით ჯანდიერის თქმით, ეს ეწინააღმდეგება საქართველოს საარჩევნო კოდექსის 42-ე მუხლის მე-6 ნაწილს, სადაც წერია: „საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, არჩევნების დღემდე ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზედაც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას“.

მიუხედავად პროტესტისა, საოლქო კომისიამ ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულების საფუძველზე, გიორგი ბარამიძეს სხდომაზე „ნაციონალურ მოძრაობის“ წარმომადგენლის სტატუსით დარჩენის ნება დართო.

საჩივრების განხილვა გვიან საღამოს დაიწყო და გვიან ღამით დამთავრდა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის ზუგდიდის 67-ე საოლქო საარჩევნო კომისიის N34 განკარგულებაში კი ჩაიწერა: „ქართული ოცნების“ საჩივარი „არ დაკმაყოფილდეს სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო“.

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, ქეთი ყიფიანის თქმით, ამ განკარგულებას, კანონმდებლობის მიხედვით, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში 2 დღის ვადაში გასაჩივრებენ.

კოალიცია თბილისის საქალაქო სასამართლოში, ასევე, გასაჩივრებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულებას ზუგდიდის საარჩევნო ოლქში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლად გიორგი ბარამიძის დანიშვნის შესახებ.

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ზუგდიდი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. კოალიცია „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მათ კანდიდატს, ირაკლი ალასანიას „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ ხმები მოპარა და რომ ისინი ამომრჩევლების ხმებს კანონით მინიჭებული ყველა საშუალებით დაიცავენ.

ფოტო: ლიზა ოგანოვა

რეპორტაჟი

ბოისა და ბოიის სოფლებში ბატარეიები 1 ოქტომბერი

გორის ქუჩები არჩევნების დღეს, 1 ოქტომბერს, ცარიელია. მხოლოდ „ქართული ოცნების“ ოფისთან დგანან ჯიბეში ხელჩაწყობილი მამაკაცები და საქმიანად სცემენ ბოლთას. ქუჩაში კანტიკუნტად მოძრავ გამვლელთაგან ზოგს საარჩევნო უბანზე მოქმედების წესების ამსახველი ბუკლეტი უჭირავს, ზოგი კი, უბრალოდ, პროდუქტებს ეზიდება სახლში.

ანი ჭანკოტაძე

სოფლებში უფრო უჩვეულო ფუსფუსი იგრძნობა. საარჩევნო უბნებზე რიგებია, გზებზე მანქანები დაქრიან. მზესუმზირის გამყიდველი ქალი საარჩევნო უბანთან დგას. „აბა, დავსაქმდეთ ახალგაზრდებო, დავსაქმდეთ“ – რეკლამას უკეთებს თავის პროდუქტს და სიცილით გვეუბნება: „სააკაშვილს აღარ ვჯობივარ?! მთელი სოფლის ახალგაზრდობა მე მყავს დასაქმებული სემიჩკის ჭამაში!“

გორის სოფლებში ყოველ საარჩევნო უბანთან თითო შავი ჯიპი გვხვდება. ბელარუსი დამკვირვებელი, ტატიანა ვაკსბერგი რომელიც არჩევნებს ჩვენთან ერთად აკვირდება, გაოცებულია. „რას აკეთებენ ასეთი ძვირადღირებული მანქანები საარჩევნო უბნებთან სოფელში?“ – გვეკითხება მე და სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტს. უბნებთან, ასევე დგანან ცისფერ პერანგებში გამოწყობილი პატრულის თანამშრომლები და კალამმომარჯვებული ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები, რომლებიც უბანზე შემსვლელ სოფლელებს თვალს ადევნებენ და წინასწარშედგენილ სიაში აღრიცხვებს აკეთებენ.

დამკვირვებლებისა და მედიისადმი ყველაზე მტრული გარემო სოფელ ზერტში გვხვდება. კომისიის თავმჯდომარე, სკოლის დირექტორი ლელა ტიელიძე უბანზე საქმიანად მიდი-მოდის. დროდადრო ხმას უწევს და მუქარის შემცველი ტონით გვიყვირის. დამკვირვებლებსა და ჟურნალისტებს დირექტივებს დაუღალავად აძლევს, სამაგიეროდ, არ აპროტესტებს იმას, რომ ხმის მისაცემ კაბინაში ერთდროულად ორ-ორი და სამ-სამი ამომრჩეველია შესული.

სწორედ ზერტში, ამ უბანზე დაფიქსირდა ინციდენტი, რომელიც დამკვირვებლად მყოფმა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტმა საბა წიწიკაშვილმა შეგვატყობინა: ჯერ კიდევ დილის საათებში საარჩევნო ბიულეტენები „გამოილია“ და მოქალაქეები ხმის მიცემას ვეღარ ახერხებდნენ. კომისიის თავმჯდომარე გამოლეული ბიულეტენების შესახებ კითხვას არ პასუხობს, ხელებს გვიქნევს და გვეუბნება, რომ უბანზე ინტერვიუს არ იძლევა. კომისიის წევრები შედარებით მოკრძალებულად უარყოფენ მომხდარს. „როგორ, საჩივარიც ხომ დაიწერა, რომ მოქალაქეები ხმას ვეღარ აძლევდნენ ბიულეტენების გამო?“ „კი, მაგრამ მარტო ერთი საჩივარი იყო, მეტი არა“ , – აღიარებს ერთ-ერთი რეგისტრატორი.

გარეთ გამოსულები „ოცნების“ მხარდამჭერებისგან ვგებულობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საკუთარ მხარდამჭერებს უბანზე მოსვლის სანაცვლოდ ფქვილის დარიგებას ჰპირდებიან. სოფლელები ფქვილზე საუბარს გაურბიან. ზოგს პირველად ესმის: „ფქვილიო? მომცენ მერე, მშიერი ვარ, მაგას რა ჯობია. აგერ ხომ მოვედი და ხმა ვის მივეცი, მაგას გაიგებენ?“– ინტერესით მეკითხება რიგში მდგომი მოხუცი ქალი.

თვითონ ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები ფქვილის შესახებ პირდაპირ გვპასუხობენ. კი ჩამოტანილია უკვე, მაგრამ ჯერ ვერ დავარიგებთ, არ შეიძლება, მოსყიდვაში ჩაგვეთვლებაო.

მედიის დანახვა არც სოფელ კარალეთში უხარიათ. 49-ე საარჩევნო უბანზე რეგისტრატორი თავისუფალი გადაღებისთვის ყველას რამდენიმე წუთით ნაკლებს გვიწერს და კანონით მონიჭებულ ისედაც მცირე დროის მონაკვეთს, 10 წუთს კიდევ უფრო გვიკვეცავს. უბანზე დგას „მზერატივის“ ჟურნალისტი სალომე აჩბა, რომელსაც უბანზე ბოლომდე დარჩენა გადაუწყვეტია: რომ წავიდე, ისეთი სიტუაციაა, რაღაც ცუდი მოხდებაო. ის შეშ-

დარღვევები ბოიში

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შექმნილი სპეციალური ვებგვერდი electionporta.ge **იუწყება, გორში არჩევნების დღეს დარღვევები გამოვლინდა.**

აქედან 2 ფაქტი საარჩევნო უბნებიდან დამკვირვებლის გამოძევებას შეეხებოდა. ასევე, დაფიქსირდა ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორების საარჩევნო უბანზე ყოფნა, ჟურნალისტზე ზეწოლა, წინასწარშემოხაზული ბიულეტენები, ბიულეტენების დაკარგვა და სხვა პროცედურული დარღვევები. ასევე, გორის თითქმის ყველა საარჩევნო უბანზე შეინიშნებოდა საარჩევნო ბიულეტენების ნაკლებობა.

ფოტოები თეონანას ზაზიანგვილი

არჩევნების შედეგები ბოჩში

გორის საარჩევნო ოლქში სულ 107 საარჩევნო უბანი შედის.

გორის ოლქში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმა პარტიების მიხედვით ასე გადანაწილდა:

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 46.69%

„ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“ – 47.85%

გორის ოლქში საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებული ხმა მაჟორიტარების მიხედვით:

გიორგი ტატიშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - 46.44%

სოსო ვახტანგიშვილი - „ბიძინა ივანიშვილი ქართული ოცნება“ – 47.16%

ფოთებული ჰყვება, როგორ აღმოაჩინა, რომ „დემოკრატიის ქსელის“, „სახელმწიფო ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის სტრატეგიული კვლევითი ცენტრის“, „ეკონომიკურ დანაშაულთან, კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის კავშირისა“ და მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების სახელით საარჩევნო უბანზე სინამდვილეში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იმყოფებოდნენ დამკვირვებლებად.

უბნის გარეთ, ეზოში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელ გოგონებს ვნახულობთ, რომლებსაც საკუთარი მეზობლები, „ქართული ოცნების” მხარდაჭერისთვის ციხეში ჩასმით დაემუქრნენ. „ეს არის ტერორის დრო. რა უბედურებები ხდება, 1937 წელია ისევე საქართველოში. უნდა დამთავრდეს ეს ამბავი და საწყალმა, გაღარიბებულმა ხალხმა დაიბრუნოს საქართველო“, – ხმადაბლა გვეუბნება მოხუცი ქალი, რომელსაც გულახდილობის აშკარად ეშინია, მაგრამ თქმაც უნდა. „შვილიშვილები მუშაობენ და გაზეთების კითხვას მიკრძალავენ, არ ქნაო, მარა ჩუმად ვკითხულობ ხოლმე და სიმართლის ისეთ მარცვლებს ვნახულობ, გულში მხვდება!“ – აგრძელებს ის.

კარალეთში ორ საარჩევნო უბანს შორის გამუდმებით მოძრაობს მანქანა, რომელიც ადგილობრივების თქმით, სოფლის გამგებელს ეკუთვნის. ერთი უბნიდან მეორეზე ინაცვლებს სამარშრუტო ტაქსიც, საიდანაც ორგანიზებულად ჩამოდიან სოფლელები და ხმის მისაცემად უკვე მეორე საარჩევნო უბანზე შედიან საქმიანად.

ერთი შეხედვით ყველაზე წყნარი უბანი კარალეთში დევნილთა დასახლებაში გახსნილი – მე-100 საარჩევნო კომისიაა. ამ უბანზე ორი შავი ჯიპი და რამდენიმე სპეცმანქანა დგას, მაგრამ World Vision-ის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ აშენებულ სოციალური ცენტრის შენობაში გამართულ საარჩევნო უბანზე ხმის მიცემა მშვიდად მიმდინარეობს და მედიასაც არ ხვდებიან კომისიის

გარეთ გამოსულები „ოცნების“ მხარდამჭერებისგან ვგებულობთ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები საკუთარ მხარდამჭერებს უბანზე მოსვლის სანაცვლოდ ფქვილის დარიგებას ჰპირდებიან. სოფლელები ფქვილზე საუბარს გაურბიან. ზოგს პირველად ესმის: „ფქვილიო? მომცენ მერე, მშიერი ვარ, მაგას რა ჯობია. აგერ ხომ მოვედი და ხმა ვის მივეცი, მაგას გაიგებენ?“– ინტერესით მეკითხება რიგში მდგომი მოხუცი ქალი.

წევრები ყვირილითა და აგრესიით. დამატებითი დეტალები მხოლოდ ადგილობრივებთან გასაუბრების შემდეგ იკვეთება: „არჩევნები კი, ყველაფერი ისე მიდის როგორც საჭიროა, ყველაფერი კარგადაა, 5-იანიც შემოვხაზეთ“, თავს იზღვევს მოხუცი ცოლ-ქმარი და საუბარს 2008 წლის ომზე აგრძელებს.

სოფელ ტყვიავში, კალათბურთის დარბაზში მოთავსებულ N92-ე საარჩევნო უბანზე დამკვირვებლად მომუშავე ზაზა ქარელსა და სტუდია „მონიტორის“ ჟურნალისტ ნანა ნასყიდაშვილს შელაპარაკება მოუვიდათ. ზაზა ქარელი კამერის დამტვრევასა და ნანა ნასყიდაშვილის გალახვას ცდილობდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ზაზა ქარელი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია, დედამისი, დოდო ქარელი კი, ტყვიავის სკოლაში ერთი სართულით ზემოთ განლაგებული მეორე საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

შუაღამით, ტყვიავში ხმების დათვლის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ მმართველმა პარტიამ მაჟორიტარული და პროპორციული კენჭისყრითაც ორივე უბანზე წააგო. გორში ვბრუნდებით. აქ რთული სიტუაციაა N9 საარჩევნო უბანზე, სადაც კენჭისყრის დასრულების დროიდან პოლიცია იმყოფება. მოგვიანებით, კენჭისყრის ოთახიდან ნაციონალური მოძრაობის წევრი დახეულ ბიულეტენებს ყრის. ხმის დათვლა პოლიციის თანხმობით 3-4 საათამდე გრძელდება.

„ქართული ოცნების“ ოფისთან ბევრი ხალხია შეკრებილი და უკვე გამარჯვებას აღნიშნავენ. ერთმანეთს ეხუტებიან და ულოცავენ. ისინი ქუჩებში მანქანებში ჩამაგრებული დროშებით მოძრაობენ, ხმაურობენ, ისმის მანქანების საყვირის ხმა. ნაციონალური მოძრაობის ოფისთან სიჩუმეა. გარეთ ბევრი შავი ჯიპი დგას. თეთრად განათებული ოფისის აბრაც და მოვლილი გაზონიც მიტოვებულად გამოიყურება.

ВЫБОРЫ ახალქალაქსა და ნინოწმინდაში

ახალქალაქსა და ნინოწმინდაში არჩევნებმა მშვიდ გარემოში – ე.წ. კარუსელებისა და სხვადასხვა სახის დარღვევების ფონზე ჩაიარა. პრობლემატური იყო ენობრივი ბარიერისა და კომისიის წევრების მიერ ცესკოს დადგენილი წესების არცოდნის საკითხიც.

გიორგი ჭეიშვილი

ფოტო: დავრო სულაკაური

ახალქალაქის შესასვლელთან, მაღლობზე, შოთა რუსთაველის დიდი ბიუსტი დგას, ბიუსტის ქვემოთ, დაახლოებით თხუთმეტი მეტრის სიგრძის კედელი წითლად „მიპულივიზატორებული“ „5“ ნომრითა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – სანველ პეტროსიანის საარჩევნო პლაკატებითაა გაფორმებული.

„ქართული ოცნების“ და კოალიციის ახალქალაქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის – ნორიკ კარაპეტიანის საარჩევნო პლაკატსა თუ ბანერს თითქმის ვერ შეხვდებით – ნაწილი ჩამოხეულია, ნაწილი შავი პულივიზატორით გადახაზული, ქალაქის ერთ-ერთ ქუჩაზე დამაგრებული დიდი ბანერი რიცხვით „41“ კი ყვითელი საღებავითაა გადათხაპნილი.

1 ოქტომბრის დილას ქალაქის ქუჩებში სიმშვიდეა, 8 საათი დაწყებულია, ხალხი კი კანტიკუნტად მოძრაობს. „ტაქსოპარკების“ პატარა კანტორების გვერდით, სასადილოში სინათლე ანთია. აქაურობის მეპატრონე შეფ-მზარეულისა და მიმტანის ფუნქციებსაც ითავსებს, რუსულად მიხსნის

– „გუშინ მითხრეს არჩევნების დღეს სასადილო არ გახსნაო. არადა მე თუ არ ვიმუშავე, ოჯახი როგორ ვარჩინო? ჰოდა, ავდექი და გავაღე, მერე რა, რომ არჩევნებია?!“

ოთახში ასაკოვანი მამაკაცი შემოდის, „მასპინძელს“ სომხურად ესაუბრება და ცოტა ხნის შემდეგ ისიც რუსულად მომმართავს – „მთავარია სიმშვიდე იყოს, აქ არ არის დაძაბული მდგომარეობა, მაგრამ დავიღალეთ, არავინ გვეხმარება, ქვეყანაში თურქეთიდან შემოსულ კარტოფილს ასაღებენ, თურქებს კიდევ პროდუქტი ჩვენგან მიაქვთ. ხელშეწყობა რომ გვქონდეს, იმდენ ხორბალს მოვიყვანდით მთელ ქვეყანას მოვამარაგებდით“.

ადგილობრივი „ტაქსისტის“ პოვნაში აქვე მეხმარებიან. მძღოლი ქართველია, ახალქალაქში ცხოვრობს – „აქაურების 90%-ს სომხური პასპორტი აქვს. რუსეთში უპრობლემოდ გადადიან, იქ კი, სამუშაოს პოვნა ბევრად უფრო ადვილია. ცოტა ხანში ჩემი საბუთებიც მზად იქნება, 500 $ დამიჯდა, ასაღებად ერევანში მომიწევს გადასვლა, შემდეგ ალბათ მეც რუსეთში წავალ“ – მეუბნება და მანქანას აჩერებს – „ესაა ცესკოს შენობა“.

ახალქალაქის N40 საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი ამბობს, რომ ქალაქისა და სოფლების თითოეული საარჩევნო უბანი დროულად გაიხსნა და შეფერხება არსად ყოფილა.

„ქართული ოცნების“ ახალქალაქის შტაბში მისვლამდე, გზად რამდენიმე საარჩევნო უბანი გვხვდება, სადაც ათამდე ადამიანი და პოლიციის რამდენიმე თანამშრომელი დგას. კოალიციის შტაბში მაგიდაზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის აკრედიტაციებია დალაგებული და რამდენიმე ადამიანი მათ გადარჩევას ცდილობს. ახალქალაქის შტაბის უფროსი გოგა ჟვანია ამბობს, რომ ცესკომ აკრედიტაციები გვიან ღამით მიაწოდათ, რის გამოც საარჩევნო უბნებზე მათი დამკვირვებლები ამ დრომდე არ არიან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბთან ოცამდე ადამიანია მობილიზებული. კიბეებზე ავდივარ, თუმცა გზას ერთ-ერთი ახალგაზრდა მიღობავს – „მერე რა, რომ ჟურნალისტი ხარ, არ შეიძლება შესვლა, არც კითხვის დასმა, გაიგე, ბრატ, არაფერი არ შეიძლება, აღარ მოხვიდე!“

საოლქო კომისიაში დაფიქსირდა საარჩევნო კომისიის წევრების ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული კონვერტი, რომელიც გახსნილი იყო. პიროვნებამ, რომელსაც აღნიშნული დოკუმენტი ეჭირა, განმარტა, რომ „დალუქულ“ კონვერტში ამომრჩეველთა სიები იყო მოთავსებული, ხოლო ფაქტი, რომ კონვერტი გახსნილი იყო – კატეგორიულად უარყო. „ლიბერალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ვიდეოში – „არჩევნები ახალქალაქი-ნინოწმინდა“ კარგად ჩანს, რომ კონვერტი გახსნილია.

რამდენიმე წუთში შტაბის მოპირდაპირე მხარეს „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს – სანველ პეტროსიანს ვხვდებით, საკონტაქტო ინფორმაციის გაცვლის შემდეგ კი მპირდება, რომ საარჩევნო უბნებზე ნებისმიერი დარღვევის შესახებ ინფორმაციას მომაწვდის. სანველ პეტროსიანი მის საარჩევნო შტაბში ჟურნალისტის არშეშვების შესახებ არაფერს ამბობს.

„არ გინდა ხოსპიოში ნახო რა ხდება? ჩემი სოფელია, ხმასაც მივცემდი“ – მთავაზობს მძღოლი და ღიმილით ამატებს – „ჩემიანები საჯარო სამსახურში მუშაობენ, რამდენიმე წლის წინ პოლიტიკურ ამბებში გავყავი თავი და კინაღამ გამოუშვეს“.

ხოსპიოში N63 საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესი მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა, თუმცა მოგვიანებით მცირე ინციდენტი აქაც მოხდა: ქალბატონს, რომელიც საარჩევნო პროცესს ვიდეოკამერით აფიქსირებდა, სხვა დამკვირვებლის ფორმა აღმოაჩნდა. ეს ფაქტი საარჩევნო კომისიის წევრებმა გააპროტესტეს. „ქართული ოცნების“ ახალქალაქის შტაბის წარმომადგენლის, ბეჟან გუნავას თქმით, ქალბატონი კოალიციის დამკვირვებელია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი მოწმობა არ გაუკეთა.

დარღვევები დაფიქსირდა სოფელ ალასტანის N9 საარჩევნო უბანზე. „ლტოლვილთა და უმცირესობათა პრობლემების ინსტიტუტის“ დირექტორის მალხაზ ჩემიას თქმით, ამ უბანზე ერთი დამკვირვებელი გააგდეს და მეორესაც იმავეს უპირებდნენ, საარჩევნო ყუთი უბნის გარეთ გაიტანეს, შემდეგ კი უკან დააბრუნეს. მალხაზ ჩემიას თქმით, ეს ფაქტი ვიდეოკამერებმაც დააფიქსირეს – „სერიოზული დარღვევები იყო ახალქალაქის N3 საარჩევნო უბანზე, სადაც ჩვენი ინსტიტუტის დამკვირვებელმა დააფიქსირა, რომ ერთ-ერთი პიროვნება ხმის მიცემას მარკირების გავლის გარეშე ცდილობდა, დარღვევაზე ოქმი შევადგინეთ. ახალქალაქში დაფიქსირდა ე.წ. კარუსელის რამდენიმე შემთხვევა“, – განაცხადა ჩემიამ.

სოფელ ხულგუმოში N37 უბნის და-

მკვირვებლის თქმით მხედველობის პრობლემების მქონე პირებთან ერთად კაბინაში მათი ნათესავები შედიოდნენ და არჩევანის გაკეთებაში ეხმარებოდნენ. ამავეს ამბობს საუბნო კომისიის თავმჯდომარე – „ვინც ვერ ხედავს მათთვის სათვალეები გვაქვს, ნათესავები ეხმარებიან ერთმანეთს და ასე აკეთებენ არჩევანს“.

დარღვევებზე საუბრობდა სოფელ ხანდოს №62 საარჩევნო უბნის დამკვირვებელი. ამირან გოგიას თქმით, საარჩევნო უბანზე ხმის მიცემის პროცესს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კოორდინატორი პირადად ხელმძღვანელობდა – მოჰყავდა მოხუცი ქალბატონები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ თუ ვის აძლევდნენ ხმას, მათთან ერთად შედიოდა კაბინაში და ხმის მიცემაში ეხმარებოდა.

„ამ კოორდინატორის წინააღმდეგ საჩივარი დაიწერა, სადაც დაფიქსირდა, რომ ოც ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. ასევე, საეჭვოა ის ფაქტიც, რომ ამომრჩეველთა ნაკადი, დაახლოებით 15-20 კაცი, რამდენიმე წუთიანი ინტერვალით ერთდროულად მოდიოდა უბანზე“, – განაცხადა ამირან გოგიამ.

ახალქალაქის საარჩევნო უბნებზე კიდევ ერთ პრობლემას ენობრივი ბარიერი და საარჩევნო კომისიის წევრების ცესკოს დადგენილი წესების არცოდნა ქმნიდა.

1 ოქტომბერს, დაახლოებით 19 საათსა და 30 წუთზე, ქალაქ ნინოწმინდის N1 საარჩევნო უბანზე, სკოლის ჭიშკართან ორი თეთრი მიკროავტობუსი იდგა, შენობის სიახლოვეს კი ოცამდე მამაკაცი იყო მობილიზებული. „ქართული ოცნებიდან“ საარჩევნო კომისიის წევრის თქმით, მას ტელეფონზე დაუკავშირდნენ და უთხრეს, რომ რვა საათისათვის ადგილზე სიტუაციის დაძაბვა იყო მოსალოდნელი, თუმცა ხმების დაცვის პროცესმა მშვიდად და დარღვევების გარეშე ჩაიარა: ხმა სულ 723-მა ადამიანმა მისცა, მათგან 25 მესაზღვრე იყო, რომლებიც მხოლოდ პროპორციულ არჩევნებში მონაწილეობდნენ. დანარჩენი 698 ხმიდან 487 – „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ მიიღო, 159 კი „ქართულმა ოცნებამ“. „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს – ენზელ მკოიანს 525 ამომრჩეველმა მისცა ხმა, „ქართული ოცნების“ კანდიდატს – ალბერტ ნურბეგიანს კი 131-მა.

ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ ქალაქ ნინოწმინდის საარჩევნო უბნების შედეგებმა თავი N41 საოლქო საარჩევნო კომისიაში მოიყარა. შენობის მიმდებარე, ჩაბნელებულ ტერიტორიაზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული. კომისიის შენობაში დაძაბული მდგომარეობა და არეულობა დაგვხვდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შტაბთან ოცამდე ადამიანია მობილიზებული. კიბეებზე ავდივარ, თუმცა გზას ერთ-ერთი ახალგაზრდა მიღობავს – „მერე რა, რომ ჟურნალისტი ხარ, არ შეიძლება შესვლა, არც კითხვის დასმა, გაიგე, ბრატ, არაფერი არ შეიძლება, აღარ მოხვიდე!“

ნინოწმინდის ოლქში კოალიცია „ქართული ოცნების“ შტაბის უფროსის თეიმურაზ ჩაჩუას თქმით, საოლქო საარჩევნო კომისიაში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების ტოტალური გაყალბება მიმდინარეობდა – „ჩვენ თვალწინ მოაქვთ ცარიელი ოქმები, რომლებიც სწორდება სხვადასხვა ოთახში. სხვადასხვა უბანზე დაფიქსირდა ე.წ. კარუსელის შემთხვევებიც“, – განაცხადა ჩაჩუამ.

ამავე საოლქო კომისიაში დაფიქსირდა საარჩევნო კომისიის წევრების ხელმოწერებითა და ბეჭდით დამოწმებული კონვერტი, რომელიც გახსნილი იყო. პიროვნებამ, რომელსაც აღნიშნული დოკუმენტი ეჭირა, განმარტა, რომ „დალუქულ“ კონვერტში ამომრჩეველთა სიები იყო მოთავსებული, ხოლო ფაქტი, რომ კონვერტი გახსნილი იყო – კატეგორიულად უარყო. „ლიბერალის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ვიდეოში – „არჩევნები ახალქალაქი-ნინოწმინდა“ კარგად ჩანს, რომ კონვერტი გახსნილია.

ნინოწმინდის საარჩევნო უბნების შედეგების დათვლისას, კომისიის სხდომაზე დამსწრე ერთ-ერთი პირის ინფორმაციით, N41 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ტელეფონზე დაურეკეს, რის შემდეგაც სეირან კიურეხიანმა შესვენება გამოაცხადა. ამავე წყაროს ინფორმაციით, სამართალდამცავთა გამოძახების ფაქტი არ ასახულა ჩანაწერთა წიგნში.

N41 საოლქო საარჩევნო კომისიის შენობაში სამართალდამცავთა გამოჩენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ კომისიის თავმჯდომარე შეუძლოდ გახდა და მისთვის სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახება გახდა საჭირო.

სარჩელებისა და შენიშვნების განსახილველად ნინოწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია 2 ოქტომბერს შეიკრიბა. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ჩვენთან უხეში დარღვევა არ ყოფილა, შენიშვნები მივიღეთ. დარღვევები გვქონდა, თუმცა არა ისეთი, რომელსაც მუშაობის პროცესზე ან არჩევნების შედეგებზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია. გამოვდივარ წინადადებით, დარღვევები მივიღოთ ცნობად და მსგავს საკითხებს შემდეგ არჩევნებზე დიდი ყურადღებით მოვეკიდოთ“.

ამის შემდეგ კომისიის წევრებმა დაფიქსირებული დარღვევები განიხილეს, თუმცა 3-დან არცერთი არ მიიღეს და სეირან კიურეხიანმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

www.radiotavisupleba.ge

რადიო თავისუფლება

იპოვე თავისუფლება

09:00 - 10:00
18:00 - 19:00
FM 107.4

15:00 - 15:45
00:00 - 00:45
FM 105.9

ხელისუფლების გადაბარება. სახელმწიფო კანცელარია, 5 ოქტომბერი 2012

"რა უნდა გააკეთოს ახალმა ხელისუფლებამ პირველ რიგში?"

სოსო ჭაუჭიძე – სტუდენტი, „ლაბორატორია 1918“-ის წევრი

კონკრეტულად რა უნდა იყოს მთავრობის მიზნები, რომელი ინსტიტუციების რეფორმირებაა საჭირო, რატომ უნდა იყოს ესა თუ ის სფერო პრიორიტეტული – ეს ის კითხვებია, რომელზეც ამომწურავი პასუხის გაცემა უკვე გაწერილ პროგრამას, ანუ ამ მიზნების რეალიზებისათვის აუცილებელი საშუალებებისა და სტრატეგიების უშუალო ფორმირებას უნდა გულისხმობდეს.

ფაქტია, რომ პენიტენციალურ სისტემაში მომხდარი წამების ფაქტები, პატიმრების მიმართ არაადამიანური მოპყრობა, სრულ ინსტიტუციურ კრახზე მიგვითითებს და საკადრო ცვლილებები პრობლემის გადაწყვეტის მხოლოდ ფასადური გზაა. ის სისტემა, რაც სახელმწიფოს მიერ წლების განმავლობაში იყო წახალისებული, არა მარტო პრინციპულად ძალადობრივი მექანიზმებით ჩადიოდა დანაშაულსა და გაუგონარ სისასტიკეს, არამედ კრიმინალის კონსერვაციის სტრატეგია ჰქონდა არჩეული და პატიმარზე ძალადობდა.

კრიმინალური ავტორიტეტებისა და ქურდული მენტალიტეტის დამარცხება აწ უკვე წინა ხელისუფლებამ ვერ შეძლო – მან მხოლოდ იზოლაცია, რეალური პრობლემის გადამალვა მოახდინა. ამგვარი სახის დანაშაული ქუჩებიდან სახელმწიფო სტრუქტურებში გადაიტანა.

ამიტომ, პირველ რიგში საჭიროა პენიტენციალური სისტემის ჯერ დემონტაჟი, და შემდეგ ხელახალი სტრუქტურირება, უკიდურესად ცენტრალიზებული ძალაუფლებრივი ურთიერთმიმართებების გაუქმება და დამნაშავეთა რესოციალიზაციაზე ორიენტირებული ციხეების სიტემა.

უმნიშვნელოვანესი იქნება პოზიცია, რომელსაც მთავრობა დაიჭერს განათლებისა და მეცნიერების საკითხთან მიმართებით. საგანმანათლებლო სისტემა რადიკალურ ცვლილებებს საჭიროებს და რამდენადაც სახელმწიფოს როლი მის რეფორმირებაში იზრდება, საჭიროა განათლება არამარტო ხელმისაწვდომი, არამედ ხარისხიანიც გახდეს.

უნივერსიტეტების ავტონომიურობა სახელმწიფოს კეთილი ნების ხარჯზე არ უნდა გაიზარდოს, არამედ ქვემოდან – აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნისა და მზაობის საფუძველზე. საჭიროა სამეცნიერო-კვლევითი პროცესების შეუქცევადობის უზრუნველყოფა. სკოლები ინდოქტრინაციის სუბიექტებად აღარ უნდა მოიაზრებოდეს, საჭიროა ახალი სასწავლო პროგრამების დანერგვა, რომელიც ბავშვის ინდივიდუალურ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული და არა სახელმწიფო თუ კერძო ინტერესის კონკრეტულ საჭიროებებზე.

სასამართლოს რეფორმას უკვე ყველა ითხოვს და ფაქტია, რომ, თუკი აღმასრულებელ ხელისუფლებას სამართლებრივი სახელმწიფოს შენებაზე აქვს პრეტენზია, სასამართლო უნდა გახდეს დამოუკიდებელი. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპები უნდა გადაიხედოს – მეტწილად ასეთი კანონმდებლობა იყო განმაპირობებელი იმისა, რომ ციხეებში მომხდარ ძალადობას ზურგს კარგა ხნის გამოცდილი სამართლებრივი პრაქტიკა უმაგრებდა.

გიორგი მარგველაშვილი – ფილოსოფოსი

„ქართულმა ოცნებამ“ ძალიან სწრაფად უნდა დაიწყოს მოქმედება. ჩვენ ვხედავთ, რომ ნაციონალური მოძრაობა თავისი პოლიტიკური დღის წესრიგის დანერგვას ცდილობს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ცდილობს თავისი თავი გაასაღოს დემოკრატიის შუქურად პარტიებს შორის.

რეალურად ჩვენ ვიცით, რა ხდებოდა ბოლო 9 წლის მანძილზე და თუნდაც საარჩევნო კამპანიის მანძილზე. ნაციონალური მოძრაობის მიერ გადადგმული ნაბიჯები იყო პრინციპულად არადემოკრატიული, იყო ადამიანებისა და პოლიტიკური პარტიების უფლებების შეზღუდვაზე ორიენტირებული.

ნაციონალური მოძრაობა ნელ-ნელა დამნაშავის როლიდან ბრალმდებელის როლზე გადასვლას ცდილობს. ამ თვალსაზრისით, საჭიროა ძალიან ეფექტური საპასუხო პოლიტიკის აგება, რომ ეს ასე არ არის, არამედ ის რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს, ნაციონალური მოძრაობის მიერ ჩადენილი დარღვევების გამოსწორებაა. ნაციონალური მოძრაობა „ქართული ოცნების“ მოპასუხის როლში გადაყვანას ცდილობს, რაც შეცდომაა, რადგან ორი დღის წინ რაიონებში ტერორს ახორციელებდნენ და დღეს ბრალმდებლის პოზიციიდან მათი საუბარი სასაცილოა. ამაზე „ქართულმა ოცნებამ“ სწრაფად უნდა ჩამოაყალიბოს მკვეთრი პასუხი. ამ აბსურდს უნდა უპასუხონ უამრავი ფაქტობრივი მასალით. ეს იქნება ყველაზე კარგი იდეოლოგიურ ბრძოლაში.

რაც შეეხება პროგრამას, ის კანონიერების აღდგენით უნდა დაიწყოს. სამართლიანობის აღდგენა უნდა იყოს სწორედ მთავარი პრიორიტეტი და უპირველესად ეს მოგვარდეს. ბევრი ადამიანი ვიცით, ვინც დამნაშავეა, მაგრამ ასევე ვიცოდით შევარდნაძის დროსაც. ნაციონალური მოძრაობის არადემოკრატიული სვლა დაიწყო იმით, რომ სამართლიანობის უსამართლოდ აღდგენა დაიწყეს. ამიტომ ეს გახმაურებული საქმეები დროზე არ უნდა გაიხსნას, უნდა გაიხსნას პროცედურულად, როგორც არის დაწერილი.

სამართლიანობის აღდგენა სამართლიანობის ინსტიტუციების დაფუძნებით უნდა დაიწყოს, უნდა განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები

საკანონმდებლო დონეზე, შეიქმნას საგამოძიებო კომისიები.

მთელი რიგი აბსურდული ცვლილებები, რაც ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო, პარტიების მიმართ შეზღუდვები, საარჩევნო კოდექსის 26-ე პრიმა მუხლი, რითაც ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნები ჩაატარა – ასეთი ტიპის აბსურდული კანონმდებლობა უნდა გასწორდეს.

ის პოზიტიური, რაც ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს შეიქმნა, მაგალითად, ადმინისტრაციული მმართველობა, არ უნდა დაიკარგოს. გავიგე, რომ დიღომში ძარცვა ყოფილა და პატრული არ მისულა.

ასევე მნიშვნელოვანი ანტიმონოპოლიური კანონის მიღება, რომელმაც საქართველოში ეკონომიკური ლანდშაფტი რეალურად უნდა შეცვალოს.

კანონმდებლობა უნდა გასწორდეს, ანუ თუ შენ ხარ მონოპოლისტი, ავტომატურად პრობლემები გექნება.

პარალელურად ის საკითხებიც, რომელიც აქამდე პრობლემური იყო, მაგალითად, ინვესტიცია განათლების სფეროში, უნდა მოგვარდეს.

რამაზ საყვარელიძე – პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი

პატიმრების და უსამართლოდ დაპატიმრებულ ადამიანთა ბედ-იღბალი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს. იმიტომ, რომ მათთვის ყოველი დღე დაუმსახურებელი ჯოჯოხეთია. მე ამ საქმის დიდი სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ არ არის გამორიცხული შეიქმნას დროებითი ორგანო, სანამ სასამართლო რეფორმა განხორციელდება საიმისოდ, რომ გადაწყვიტოს ანალოგიური პრობლემები. ეს უპირველესად, პოლიტიკურ პატიმრებს ეხება, ასეთი ასამდე ადამიანია. შემდეგ უკვე იმ ტიპის დანაშაულებს, რომელთა კვალიფიკაციაშიც უკვე ჩანს, რომ სასჯელი იმაზე უფრო სერიოზულია, ვიდრე დანაშაული. ხალხის მოლოდინის კუთხით თუ ვიმსჯელებთ და განვსაზღვრავთ პრიორიტეტებს, ანალოგიური პრობლემები დგას ძალიან ბევრ სფეროში. მაგალითად, დგას იმ პირთა სამართლებრივი შეფასების საკითხი, რომლებსაც თანამდებობა ეკავათ და ჩადენილი აქვთ დანაშაული.

არჩევნების იმ შედეგში, რომელიც მივიღეთ, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ციხეში გადაღებულმა კადრებმა შეასრულა, მაგრამ შეასრულა ისე, რომ სტუდენტებიდან დაწყებული, საზოგადოების ფართო წრეებით დამთავრებული, ყველა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითხოვს იმ პირთა მიმართ, ვინც ხელი შეუწყო ამ დანაშაულებებს. თუმცა მათი პასუხისმგებლობის საკითხი არ დამდგარა. ამიტომ ამ ტიპის საკითხები, სადაც მაღალი თანამდებობის პირების დანაშაულზეა ლაპარაკი, სასწრაფო წესითაა მოსაგვარებელი.

ომისაგან დანგრეულ გერმანიაში პირველი, რაც გაკეთდა, ნიურბერგის პროცესი იყო, რადგან ადამიანს მატერიალურ კომფორტზე მეტად მორალური კომფორტი სჭირდება. ანუ იმის განცდა, რომ სამართლიანობა აღდგა.

სამართლიანობა რომ აღდგება, შემდეგ უპრიანია, რომ ეკონომიკას მიეხედოს, მაგრამ ცხადია, რომ ამ ცვლილებების გზა უფრო გრძელვადიანია და შესასრულებელია ის პირობა, რომელიც ივანიშვილმა გასცა, რომ ობიექტურად დადგინდება საარსებო მინიმუმი და შემდეგ ამ მინიმუმის მიხედვით აიგება სოციალური პოლიტიკა.

ასევე საჩქაროა და მნიშვნელოვანი მონოპოლიების დაშლა. ანუ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის აღდგენა, შესაბამისი ინსტიტუტების აღდგენა. ასევე აქედანვე უკვე გასაკეთებელია საარჩევნო სიები, რადგან 2013 წელს არჩევნები გველოდება. რადგან არჩევნები მოდის, მოსაგვარებელია მთელი რიგი საკითხები, მათ შორის ერთ-ერთი პირველი საარჩევნო სიებია.

გადაცემა
ლიბერალი

ყოველ სამუშაო დღეს
საღამოს 7 საათზე
რადიო „ცხელი შოკოლადის“
ეთერში

www.facebook.com/TalkShowLiberali

"საბჭოთა" ტიპის არჩევნები ბელარუსში

ბელარუსის მთავარმა ოპოზიციურმა ძალებმა ამომრჩევლებს მოუწოდეს გასულიყვნენ პარკებში, მოეკრიფათ სოკოები ან ეთევზავათ.

დავით ლაღიძე

საპარლამენტო არჩევნები ბელარუსში 23 სექტემბერს გაიმართა, მიუხედავად ოპოზიციის ბოიკოტისა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ განაცხადა, რომ აქტივობა 74.3 პროცენტი იყო, დამოუკიდებელი სადამკვირვებლო მისიის თქმით კი – დაახლოებით 38%. მთავარი ოპოზიციური პარტიები, რომლებმაც არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადეს, ამბობენ, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის შეფასება რეალობას მოწყვეტილია. 110 ადგილიდან, 102 მმართველმა ძალის კანდიდატებმა მოიპოვეს, შვიდი – ხელისუფლების სატელიტმა კომუნისტურმა პარტიამ, დარჩენილ ერთ ადგილზე კი მეორე ტურია დანიშნული. ოპოზიციამ ვერცერთი ადგილი ვერ მიიღო, რაც არჩევნების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს. ერთიანი სამოქალაქო პარტიის ლიდერმა, ანატოლი ლებედკომ არჩევნები მოიხსენია, როგორც ფსევდო არჩევნები.

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა ბელარუსის არჩევნები ნეგატიურად შეფასეს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, რომელიც ვიქტორია ნულანმა წარმოადგინა, ნათქვამია, რომ „არჩევნებში დარღვეული იყო საერთაშორისო სტანდარტები და ის თავისუფალ ან სამართლიანად არ შეიძლება ჩაითვალოს." ეუთოს სადამკვირვებლო მისიის განცხადებით, არჩევნები თავიდანვე არათანაბარ გარემოში გაიმართა. დამკვირვებლები ამახვილებენ ყურადღებას აქტიური ამომრჩევლებისთვის არჩევნის სიმცირეზე, საარჩევნო კომისიის მიუკერძოებულობაზე და ხმის დათვლის არასათანადო პროცედურაზე. მათივე განცხადებით, ამომრჩევლებს და პოლიტიკურ პარტიებს არ ჰქონდათ წვდომა მედიაზე, ვერ მართავდნენ შეკრებებს. „თავისუფალი არჩევნების" აქტივისტის, ვალენტინ სტეფანოვიჩის განცხადებით, „ბელარუსი საბჭოთა ტიპის არჩევნებს დაუახლოვდა".

ოპოზიციონერების თქმით, ხელისუფლებამ სტუდენტები აიძულა წასულიყვნენ არჩევნებზე და ხმა მიეცათ, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო სუბსიდიის დაკრაგვით დაემუქრნენ.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერვილმა განაცხადა, რომ ოფიციალური ბერლინი და ევროპელი პარტნიორები მხარს უჭერენ სანქციების გამკაცრებას: „მცდელობა, რომ მიეცათ რეჟიმისთვის დემოკრატიის ლეგიტიმურობა, ჩავარდა. ყველამ დაინახა, რაც არის ლუკაშენკო: უკანასკნელი დიქტატორი ევროპის გულში". მომდევნო თვეს ევროკავშირი იმსჯელებს ქვეყნის პოლიტიკურ სიტუაციაზე და ლუკაშენკოს მიმართ შესაძლო სანქციებზე.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე თვის წინ, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუკაშენკოს დიქტატორი უწოდა, ხოლო საპასუხოდ ბელარუსის პრეზიდენტმა განაცხადა: „სჯობს დიქტატორი იყო, ვიდრე გეი, ვესტერველი გერმანიის პირველი გეი მინისტრია". ბელარუსის პრეზიდენტი ხშირად იყენებს ჰომოფობიურ გამონათქვამებს ოპონენტთა დისკრედიტაციის მიზნით.

მასობრივი გაყალბების ფონზე ჩატარდა 2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნებიც, სადაც ლუკაშენკომ ხმების 79.65%

მიიღო, მეორე ადგილზე გასულმა კანდიდატმა, ანდრეი სანიკუაოვმა კი – 2.43 %.

ოპოზიციის მიერ დაწყებული ქუჩის აქციები ხელისუფლებამ ძალის გამოყენებით ჩაახშო, დააპატიმრა 700-მდე ადამიანი, მათ შორის, მთავარი ოპოზიციური პარტიის ლიდერები. 2010 წელს, მომიტინგეთა დარბევის და მედიის მიმართ გამოყენებული სისასტიკის გამო, აშშ-მა და ევროკავშირმა ოფიციალურ მინსკს ეკონომიკური და სამგზავრო სანქციები

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა ბელარუსის არჩევნები ნეგატიურად შეფასეს. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, რომელიც ვიქტორია ნულანმა წარმოადგინა, ნათქვამია, რომ „არჩევნებში დარღვეული იყო საერთაშორისო სტანდარტები და ის თავისუფალ ან სამართლიანად არ შეიძლება ჩაითვალოს.“

დაუწესა. ამერიკის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა კი ლუკაშენკოს ევროპის „უკანასკნელი დიქტატორი“ უწოდა.

ერთიანი სამოქალაქო პარტიის ლიდერის იაროსლავ რომანჩუკის განცხადებით, „2010 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ სიტუაცია მკვეთრად

გაუარესდა. დღეს ჩვენ პოლიტპატიმრები გვყავს. ოპოზიციას არ მიუღია მონაწილეობა ხმების დათვლაში. ტელევიზიაზე ცენზურაა, გარდა ამისა, საპრეზიდენტო არჩევნების დროს ჩვენ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების მოლოდინი გვქონდა. დღეს ეს იმედი აღარ არსებობს“. მთავარმა ოპოზიციურმა ძალებმა ამომრჩევლებს მოუწოდეს გასულიყვნენ პარკებში, მოეკრიფათ სოკოები ან ეთევზავათ.

სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტელევიზიას და რადიოს ოპოზიციის ბოიკოტის შესახებ არაფერი დასცდენია, პარტიებმა მიმართვა იუთუბის მეშვეობით გაავრცელეს.

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, მინსკში გერმანელი ჟურნალისტები, – ZDF-ის გადამღები ჯგუფი და ორი ახალი ამბების ფოტოგრაფი დააკავეს, ისინი პრეზიდენტ ლუკაშენკოს ოპონენტების აქციას იღებდნენ. დოიჩლანდრადიოს კორესპონდენტი კი ქვეყანაში საერთოდ არ შეუშვეს.

არჩევნებამდე ორი დღით ადრე ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ოპოზიციას ეშინია ხალხთან მისვლის და ოპოზიციას დასავლეთის მიერ დაფინანსებული უწოდა. მსგავსი რიტორიკა მისი მხრიდან უცხო არ არის, ის ხშირად აკრიტიკებს ოპონენტებს და მათ მტრებად, დასავლეთის მართულად მოიხსენიებს.

მინსკში გამართულ არჩევნებს რუსული და დასავლური მედია გამოეხმაურა.

გერმანიის მემარცხენე-ცენტრისტული გაზეთი „ზუდდოიჩე ცაითუნგ“ წერდა, რომ „დასავლეთი კიდევ ერთხელ აღმოჩნდა უმწეო ბელარუსის ავტორიტარული ხელისფულების წინაშე. მაგრამ ბელარუსი არ არის ერთადერთი ქვეყანა რეგიონში, რომელზეც ევროპელები შეშფოთებას გამოთქვამენ. ველით უკრაინის ოქტომბრის არჩევნებს... შემდეგ ორშაბათს კი საქართველოშია არჩევნები, არაჯანსაღმა წინასაარჩევნო ბრძოლამ ბუნდოვანი გახადა, თუ რამდენად შორს წავიდა საქართველო დემოკრატიის განმტკიცებაში“.

ყველაფრის მიუხედავად, მთავარი ბრძოლა მოსკოვსა და დასავლეთს შორის მიმდინარეობს, ბელარუსი დიდ ფინანსურ მხარდაჭერას იღებს რუსეთისგან და ამით ახერხებს სანქციების გადაწონას. pravda.ru-მ მინსკში ჩატარებული არჩევნები შეაფასა როგორც ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ღია და თავისუფალი, ხოლო ოპოზიციას იგივე ბრალდებები წაუყენა, რაც ლუკაშენკოს მხრიდან ისმოდა. სადამდე მივა ეს ინფორმაციული ომი და ვინ გაიმარჯვებს, ეს მომავალში გახდება ცხადი, მაგრამ ბელარუსის მხარდაჭერა რუსეთის საერთაშორისო იმიჯზე იმოქმედებს.

უამრავი ავტორი პარალელს ავლებს ჩრდილოეთ კორეასა და მინსკს შორის. ამ არჩევნების შემდეგ, პარლამენტი პროსახელისუფლებო კანდიდატებით დაკომპლექტდა, რაც ამ შედარების ადეკვატურობას კიდევ უფრო განამტკიცებს.

ხახაბაძე და სხვები VS საქართველო

2 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – კაკაბაძე, ჩხარტიშვილი, ჯიშკარიანი, რთველიაშვილი და დალაქიშვილი საქართველოს წინააღმდეგ – გადაწყვეტილება გამოიტანა. სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველომ არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“ ხუთი წევრის უფლებები დაარღვია, როდესაც 2006 წელს ისინი სასამართლოს ეზოში გამართულ დემონსტრაციაზე დააკავეს.

ეკა მაღალდაძე

2006 წლის 29 ივნისს თბილისის საააპელაციო სასამართლოს ეზოში შეკრებილი დემონსტრანტები სანდრო გირგვლიანის მკვლელების დასჯასა და შალვა რამიშვილის საქმის ობიექტურ გამოძიებას ითხოვდნენ.

„მოვითხოვთ თავისუფალ და ობიექტურ სასამართლოს,“ „გაუმარჯოს სამართალს,“ – მსგავსი მოთხოვნებით „თანასწორობის ინსტიტუტისა“ და ადამიანის უფლებათა დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ჯერ გირგვლიანის შემდეგ კი შალვა რამიშვილის სასამართლო დარბაზის ფანჯრებთან მოსამართლეს მეგაფონით მიმართეს. სასამართლოს მანდატურებმა „თანასწორობის ინსტიტუტის“ ხუთივე წევრი სასამართლოს ეზოში დააკავეს, თუმცა, მოგვიანებით თქვეს, რომ ისინი შენობის ტერიტორიაზე აიყვანეს. მოწმეები აცხადებდნენ, რომ ეს ადამიანები შენობაში საერთოდ არ შესულან. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, ეკა ტყეშელაშვილის გადაწყვეტილებით, ირაკლი კაკაბაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯაბა ჯიშკარიანი, ზურაბ რთველიაშვილი და დავით დალაქიშვილი წესრიგის დარღვევისთვის 30 დღით დააპატიმრეს.

მოგვიანებით ამ საქმეზე ტყეშელაშვილმა განაცხადა: „ამ აქციის ხუთმა მონაწილემ პირდაპირი და უხეში უპატივცემულობა გამოხატეს სასამართლოს მიმართ და დაარღვიეს წესრიგი სასამართლოში, მე გამოვიყენებ ოცდაათდღიანი დაპატიმრების ფორმას მათ მიმართ და ეს იქნება კიდევ ერთხელ კარგი მაგალითი იმისათვის, რომ სასამართლოს მიმართ პატივისცემის გამოხატვა და წესრიგის დაცვა ძალიან მკაცრად იქნება დაცული“.

მაშინდელი სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ამბობდა, რომ სააპელაციო სასამართლომ „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები „უკანონო სანქციის“ საფუძველზე დააპატიმრა. „გარდა იმისა, რომ მანდატურებმა მანიფესტანტები დააკავეს და სასამართლოს შენობაში შეიყვანეს, მათთან სახალხო დამცველის წარმომადგენლები არ დაუშვეს“, – აცხადებდა ომბუდსმენი. დაკავებულ კაკაბაძესთან გარკვეული ხნის განმავლობაში არ უშვებდნენ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილსაც. მოგვიანებით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო დაკავებული ირაკლი კაკაბაძე საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ის ბადრაგის დაცვის ქვეშ მკურნალობდა.

უკვე 2007 წელს „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებმა საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში შეიტანეს. დაკავებულთა ინტერესებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, – ადვოკატები სოფო ჯაფარიძე და ნათია კაციტაძე და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) იცავდნენ.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის რამდენიმე მუხლი დაარღვია, კერძოდ: მე-5 მუხლი – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება, მე-11 მუხლი – შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება, მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი – გასაჩივრების უფლება სისხლის სამართლის საქმეებზე.

სასამართლოს განმარტებით, განმცხადებლების დაკავება და მათთვის ერთთვიანი პატიმრობის შეფარდება თვითნებურად, ხელისუფლების ორგანოების მიერ უფლებამოსილების გადაჭარბებით განხორციელდა. გადაწყვეტილებაში ხაზგასმულია, რომ კანონი, რომლის საფუძველზეც დაკავება მოხდა, არ იყო საკმარისად ნათელი და განმცხადებლებს არ შეეძლოთ იმის წინასწარ განჭვრეტა, რომ შესაძლოა, დაეკავებინათ. ისინი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ მათ სასამართლოს ეზოში გამართული მანიფესტაციის გამო დაკავებდნენ, მაშინ, როდესაც მოქმედი ნორმებით, სასამართლოს მანდატურებს მხოლოდ შენობის შიგნით შეუძლიათ პირის დაკავება.

საიას საერთაშორისო დავების კოორდინატორი ნათია კაციტაძე აცხადებს, რომ მოგვიანებით, უზენაესმა სასამართლომ მანდატურების უფლება გააფართოვა და განმარტა, რომ მათ შეეძლოთ პირები სასამართლოს ეზოშიც დაეკავებინათ.

სასამართლოს განმარტებით, დაირღვა სამართლიანი სასამართლოს პრინციპიც, როდესაც სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ეკა

ფოტო: ლევან ხარბედია

ლაშა ჩხარტიშვილი საიას პრესკონფერენციაზე, 5 ოქტომბერი 2012

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ კონვენციის რამდენიმე მუხლი დაარღვია, კერძოდ: მე-5 მუხლი – თავისუფლების უკანონო აღკვეთა, მე-6 მუხლი – სამართლიანი სასამართლოს უფლება, მე-11 მუხლი – შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება.

ტყეშელაშვილმა ერთპიროვნულად, განმცხადებლების მონაწილეობის გარეშე განიხილა საქმე და გადაწყვეტილება მხოლოდ მანდატურების ახსნა-განმარტების საფუძველზე, მხარეების მოსმენის გარეშე მიიღო.

„მოწმეები ამბობდნენ, რომ ეს პირები სასამართლოს ეზოდან შენობაში საერთოდ არ შესულან, სასამართლომ კი მხოლოდ მანდატურების ჩვენებები გაიზიარა, თავმჯდომარის გადაწყვეტილება მხოლოდ მანდატურების ბრალის დამოწმება იყო და არა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების შესწავლა. მანდატურები ამტკიცებდნენ, რომ პირები სასამართლოს შენობაში აიყვანეს. გარდა ამისა, აქცია იყო აბსოლუტურად მშვიდობიანი და პირები აჟღერებდნენ მშვიდობიან სლოგანებს, ცალკეული სლოგანები შესაძლოა შეურაცხმყოფელი იყო კიდეც, მაგრამ ამ შემთხვევაში თმენის ვალდებულება საკმაოდ მაღალი იყო და ამ პირობებში 30-დღიანი პატიმრობის შეფარდება ძალიან მკაცრი სასჯელი გახლდათ“, – აცხადებს ნათია კაციტაძე.

„თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე გულგრილი იყო დემონსტრანტებისთვის პატიმრობის შეფარდების დროს გამოერკვია საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები“, – ნათქვამია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაჩენში.

ამავე გადაწყვეტილების თანახმად, დარღვეულია კონვენციის მე-11 მუხლიც, რადგან განმცხადებლების მიმართ გამოყენებული სანქციით შეკრებისა და მანიფესტაციის კონვენციით დაცული უფლებებიც დაირღვა. ეროვნულმა სასამართლომ კი არ დაასაბუთა ამ უფლების შეზღუდვის საფუძველი და არაპროპორციულად მკაცრი სასჯელი გამოიყენა.

ევროსასამართლომ თითოეულ განმცხადებელს მორალური ზარალის ასანაზღაურებლად 6 000 ევროს გადახდა დააკისრა. ასევე, საქმეზე განეული სამართლებრივი და სხვა ადმინისტრაციული ხარჯებისთვის სახელმწიფოს 5 957 ევროს გადახდა დაეკისრა.

თავდასვისათვის დასჯილნი

გიორგი მგელაძე, სტუდია „მონიტორი“

ფოტო: ლევან ხერგელიანი

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებიდან მესამე დღეს, ქალაქი გორი საქართველოს ხელისუფლებამ დატოვა. ორ დღეში ქალაქში რუსული არმია და ოსების შეიარაღებული ფორმირებები შევიდნენ. მოსახლეობა მათ პირისპირ მარტო 23 აგვისტომდე იმყოფებოდა. ოკუპირებულ გორში 19 წლის მერაბ ელბაქიძემ და 38 წლის ზაზა ბითაძემ პოლიციის მიტოვებული შენობიდან რვა ცალი მაკაროვის პისტოლეტი, როგორც თავად აცხადებენ, თავდაცვისათვის აიღეს, პისტოლეტები მათ სხვებსაც მისცეს და თავადაც დაიტოვეს. დღეს ისინი იარაღის მოპარვა-გასაღებისათვის 15-წლიან და 16-წლიან სასჯელს იხდიან.

ლარისა ელბაქიძე რუსეთ-საქართველოს ომამდე გორში ერთოთახიან ბინაში 19 წლის შვილთან, მერაბთან ერთად ცხოვრობდა. 2008 წლის 9 აგვისტოს მათი კორპუსი რუსულმა ავიაციამ დაბომბა. კორპუსზე დაცემულ ჭურვს რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, დედა-შვილი იმ დროს ეზოში იყო.

„ბავშვმა დამიძახა, დაწექი დედაო, ამ დროს რა მომხვდა, როგორ მომხვდა – არაფერი მე არ ვიცი. დავეცი, რომ გავახილე თვალები, ნანგრევებში ვიყავი შავი კვამლი ავარდა. ეს სახლი, სადაც ხალხი დაიხოცა, სულ დანგრეული და აზელილი იყო. ფეხი ძვალზე მქონდა გადატეხილი და ხორცზე იყო დამაგრებული, მუხლი შერჩენილი მქონდა“, – იხსენებს ლარისა ელბაქიძე.

დაჭრილი ლარისა ელბაქიძე დაბომბილი გორიდან თბილისში, ღუდუშაურის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმებმა ქვედა კიდურის შენარჩუნება ვერ შეძლეს და მარჯვენა ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს. შვილი მერაბ ელბაქიძე საავადმყოფოში მის სანახავად ბოლოს 21 აგვისტოს იყო მისული.

27 აგვისტოს გორში დაბრუნებულმა დედამ შეიტყო, რომ მისი შვილი დაუპატიმრებიათ. როგორც მას უთხრეს, მერაბმა პოლიციის მიტოვებული შენობიდან 16 აგვისტოს რამდენიმე ცალი პისტოლეტი აიღო. გამოძიების ვერსიით, პისტოლეტები ამ შენობიდან აიღეს, სადაც ომის დროს პოლიციის სამმართველო იყო, დღეს კი, დევნილთა საერთო საცხოვრებელია. ეს შენობა ელბაქიძეების სახლიდან დაახლოებით 100 მეტრში მდებარეობს.

ელბაქიძესთან ერთად დააპატიმრეს მისი სახლის გვერდით მდებარე მე-7 საჯარო სკოლის დარაჯი, 38 წლის ზაზა ბითაძე. ორივე მათგანს ბრალი პოლიციის შენობიდან 8 ცალი „მაკაროვის“ მითვისებასა და გასაღებაში დასდეს. გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადოიმ 19 წლის მერაბ ელბაქიძეს 15 წლით, 38 წლის ზაზა ბითაძეს კი – 16 წლით პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენის მიხედვით, მათ იარაღის მისაკუთრებასა და გასაღებაში დაედოთ ბრალი, ორივე მათგანი თითქმის 4 წელია პატიმრობაშია. ეს განაჩენი ადვოკატმა ზედა ინსტანციებშიც გაასაჩივრა, თუმცა, უშედეგოდ. გორის სასამართლოს განაჩენი ორივე ინსტანციამ უცვლელად დატოვა.

ელბაქიძეს მამა წლების წინ დაეღუპა, დედა გორში ჭავჭავაძის ქუჩაზე რამდენიმე ორგანიზაციაში დამლაგებლად მუშაობდა. თვითონ კი თონეში, პურის მცხობელს ეხმარებოდა. როგორც ლარისა ელბაქიძე იხსენებს, თავი გაჭირვებით გაჰქონდათ.

მეორე დაკავებული, სკოლის დარაჯი ზაზა ბითაძე გორის სოფელ ხვითიდანაა. მატერიალურად უჭირდათ ბითაძეებსაც, ზაზასაც სახლში მხოლოდ დედა ჰყავს. შვილის დაპატიმრების შესახებ, მანაც მოგვიანებით შეიტყო.

ელბაქიძისა და ბითაძის ოჯახებმა კერძო ადვოკატის დაქირავება ვერ შეძლეს, ამიტომ მათ სახაზინო ადვოკატი იცავდათ.

განაჩენი და ბრალდებულთა ჩვენება

მერაბ ელბაქიძე და ზაზა ბითაძე პოლიციამ 23 აგვისტოს ღამე, ანუ საქართველოს ხელისუფლების გორში დაბრუნებისთანავე დააპატიმრა. სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, 2008 წლის 16 აგვისტოს, 14 საათზე ელბაქიძემ და ბითაძემ გორში მოსკოვის ქუჩაზე მდებარე პოლიციის შენობიდან 8 ცალი მაკაროვის სისტემის პისტოლეტი მოიპარეს. იარაღი მათ დარბეული სამორიგეო ოთახიდან აიღეს.

განაჩენის მიხედვით დაკავებულებმა 2 ცალი პისტოლეტი სოფელ ტინისხიდელ არჩილ იორამაშვილს, 2 ცალი გორელ ბადრი თიბილაშვილს გადასცეს. 2 ცალი პისტოლეტი სოფელ ატენში გადამალეს და დარჩენილი 2 ცალი დაკავების დროს მე-7 სკოლის შენობაში დაკავებულებს აღმოაჩნდათ.

ბრალდებულებმა სასამართლოზე დანაშაული ნაწილობრივ აღიარეს, მათი თქმით, იარაღის მისაკუთრებას და გასაღებას ადგილი არ ჰქონია, მიტოვებული პოლიციიდან პისტოლეტები თავდაცვის მიზნით აიღეს და სხვებსაც თავდაცვისთვის დაურიგეს, რადგანაც იმ დროს ქალაქში რუსი და ოსი სამხედროები იყვნენ. 16 აგვისოტსთვის, ანუ იარაღის აღების მომენტისათვის, გორის მშვიდობიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი – ქალები და ბავშვები – თავს მე-7 საჯარო სკოლის სარდაფს აფარებდნენ. ამავე სკოლის შენობაში იყვნენ შეხიზნული ელბაქიძეცა და სკოლის დარაჯი ბითაძეც.

ამონარიდი მერაბ ელბაქიძის ჩვენებიდან: „ჩემს სახლს დაეცა ბომბი, დედამ ამ დროს დაკარგა სხეულის ქვედა კიდური, შემდეგ დედა სასწრაფო დახმარების მანქანით გადაიყვანეს ჰოსპიტალში... მე ვერ გავიგე დედაჩემი სად იყო. არ ვიცოდი, რომ თბილისში გადაიყვანდნენ. ამის შემდეგ მე და ზაზა შევედით პოლიციის სამმართველოში, წამოვიღეთ იარაღი და დავბრუნდით ისევ მე-7 სკოლაში, სკოლაში რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა წითელი ჯვარი და წაიყვანეს დევნილები.

როდესაც მივედი სამმართველოში, სამორიგეო ნაწილი იყო დარბეული, იარაღი იყო პარკში და იქიდან ამოვიღეთ.

წარდგენილ ბრალდებას ვაღიარებ ნაწილობრივ, არ ვაღიარებ გასაღების ნაწილში. იარაღი წავიღე თავდაცვის მიზნით იმ დროს ქალაქში მოძრაობდნენ რუსები, ჩვენ კი სკოლის სარდაფში გვყავდა ქალები და ბავშვები შემოფარებული, იმ დროს სხვა არავინ იყო ქალაქში, ვისაც შეეძლო ჩვენი დაცვა:

ამონარიდი ზაზა ბითაძის ჩვენებიდან: „ჩვენ პოლიციაში რომ მივედით, ჩვენი მიზანი იყო გვენახა ვინმე პოლიციელი, რომ დაგვხმარებოდა და დაეცვა ხალხი, მაგრამ იქ არავინ იყო. თუ ვინმე იქნებოდა პოლიციელი იარაღი რომ მოეცათ, იქ ჩვენ პოლიციელები არ დაგვხვდნენ და ჩვენ წამოვიღეთ 8 ცალი მაკაროვის პისტოლეტი. იარაღი ჩვენ წამოვიღეთ და წამოვედით. სკოლაში ვიყავით და არ გავდიოდით ქუჩებში, რადგან მოძრაობდნენ ქალაქის ქუჩებში რუსები და ოსები.

ჩვენ იარაღი არ გაგვისაღებია, იარაღი არ გვიჩუქებია არავისთვის. უბრალოდ დაცვის მიზნით მივეცით ხალხს.

დაკავების დროს ჩვენ პოლიციას განვუცხადეთ, რომ გვქონდა იარაღის ჩაბარების სურვილი“.

საბოლოოდ, სასამართლომ მათი ჩვენებები არ გაიზიარა და ორივე მათგანი სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე და 237-ე მუხლით გაასამართლეს, ეს მუხლები იარაღის მისაკუთრებას და გასაღებას გულისხმობს.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტის გაგი მოსიაშვილის აზრით, ბითაძისა და ელბაქიძის მიერ ჩადენილი ქმედებისათვის აღნიშნული მუხლების მისადაგება არ იყო სწორი.

„236-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ანუ გასაღება ნიშნავს, როდესაც ხდება ნივთის გაჩუქება, გასხვისება, ან მიყიდვა. სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას ცეცხლსასროლი იარაღისა, გულისხმობს ბრალდებული პირების მიერ ნივთის დაუფლებას მისაკუთრების მიზნით. ანუ, მიზანი უნდა იყოს ის, რომ დაეუფლონ სამუდამოდ ამა თუ იმ ქონებას“, – ამბობს გაგი მოსიაშვილი.

იყო თუ არა იარაღის წაღების მიზანი მისაკუთრება? ჰქონდა, თუ არა ადგილი პისტოლეტების გასაღებას? ამ ორ მთავარ კითხვაზე პასუხების საძიებლად „მონიტორმა“ საქმე შეისწავლა და მოწმეებს გაესაუბრა.

რას ამბობენ მოწმეები

პირველი მოწმე სოფელ ტინისხიდელი არჩილ იორამაშვილია. იორამაშვილი ერთ-ერთ დაკავებულს სკოლის დარაჯ ბითაძეს იცნობდა და იარაღიც სწორედ მან გადასცა. განაჩენის მიხედვით, მისთვის პისტოლეტების გადაცემა გასაღებადაა შეფასებული. ჩვენ იორამაშვილს სოფელში ჩავაკითხეთ.

„იარაღი მომცა შენახვის მიზნით უნდა შემენახა და რომ გამოჩნდებოდა ჩვენი პოლიცია, უნდა ჩამებარებინა. გამოჩნდა, თუ არა ჩვენი პოლიცია, მე ბოშურში ვიყავი და ჩამოვედი და ჩემი ხელით ჩავაბარე“, – გვითხრა არჩილ იორამაშვილმა.

ჩვენთან საუბრისას მან განაცხადა, რომ იარაღის გასაღებას ადგილი არ ჰქონია და რომ მან თავიდანვე იცოდა – პისტოლეტი პოლიციისთვის უნდა ჩაებარებინათ, მას შემდეგ, რაც გორის ოკუპაცია დასრულდებოდა და ქალაქში საქართველოს ხელისუფლება დაბრუნდებოდა.

არჩილ იორამაშვილი: „ხელისუფლება ჩვენი არ იყო არავინ, რუსის ჯარი იდგა სულ. ჩვენ ვიყავით დარჩენილი ხალხი, პოლიცია მაგ დროს არ იყო ქალაქში. არავითარი მოყიდვის მიზანი და მოყიდვაზე ერთი სიტყვაც არ ყოფილა. შემინახე და ჩამაბარებ მერეო.

„მონიტორი“: „მოსაღება იარაღის თქვენს მიმართ იყო? ან ჩუქება? ან მოყიდვა?

არჩილ იორამაშვილი: „არა მხოლოდ შენახვა და ჩაბარებაზე იყო საუბარი. იარაღი მოყიდვის და გასაღების მიზნით არ მოუცია, უბრალოდ შევინახე“.

მეორე მოწმე, რომელსაც ბითაძემ და ელბაქიძემ იარაღი გადასცეს, გორში სადგურის დასახლებაში მცხოვრები ბადრი თიბილაშვილია. თიბილაშვილმა ინტერვიუზე უარი გვითხრა და მისი ფარულად გადაღება მოგვიხდა.

„მონიტორი“: „თვითონ მოგასაღათ? ან გაჩუქათ? ან მოგყიდათ?“

ბადრი თიბილაშვილი: „არაფერი ძმაო, მაშინ იყო არეულობა... გაქანებული ომი იყო“

„მონიტორი“: „თქვენ რომ მოგცათ ის იარაღი, რატომ მოგცათ, მოტივი რა იყო?“

ბადრი თიბილაშვილი: „თავდაცვის მიზნითა კაცო, ომი იყო გაქანებული, ომი, რაში მომცემდა“.

„მონიტორი“: თანხაზე იყო საუბარი?

ბადრი თიბილაშვილი: „არანაირად“.

„მონიტორი“: სასამართლოზე რა თქვით, რატომ მომცაო?

ბადრი თიბილაშვილი: „თავდაცვის მიზნითო“.

თიბილაშვილი, ისევე როგორც სხვა მრავალი მოწმე, ამბობს, რომ ოკუპაციის დროს ქართველი სამართალდამცავების არყოფნის გამო, მოსახლეობა მხოლოდ საკუთარი თავის იმედად დარჩა და იარაღიც ამიტომ დასჭირდათ.

■ გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე რევაზ ნადიმ 19 წლის მერაბ ელბაქიძეს 15 წლით, 38 წლის ზაზა ბითაძეს კი – 16 წლით პატიმრობა მიუსაჯა. განაჩენის მიხედვით, მათ იარაღის მისაკუთრებასა და გასაღებაში დაედოთ ბრალი, ორივე მათგანი თითქმის 4 წელია პატიმრობაშია.

მიტოვებული ბოხი

2008 წლის აგვისტოს პირველ დღეებში ოს სეპარატისტებს და ქართველ სამშვიდობოებს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რაც 8 აგვისტოდან ომში გადაიზარდა. პრეზიდენტმა სააკაშვილმა საომარი მდგომარეობა გამოაცხადა. 9 აგვისტოს რუსულმა ავიაციამ გორი დაბომბა, დაბომბვამ რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

11 აგვისტოს ღამით ქართველმა სამართალდამცავებმა და ხელისუფლებამ გორი ისე დატოვა, რომ საყოველთაო, ორგანიზებული ევაკუაცია არავის გამოუცხადებია. 13 აგვისტოს გორში რუსული არმია შევიდა და 23 აგვისტომდე ქალაქს რუსები აკონტროლებდნენ, ქართული ხელისუფლება გორში 23 აგვისტოს დაბრუნდა.

გორის 10 დღიანი ოკუპაციის დროს ქალაქში მოსახლეობის ნაწილი ცხოვრობდა, ზოგმა წასვლა ვერ მოასწრო ზოგმა ეს არ ინდომა. აგვისტოს დღეებში ჯამში 200-მდე მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა.

დავით ბაქრაძე: "მტრის ჯარს ... გავუნიოთ წინააღმდეგობა"

საკუთარი სიცოცხლის ნებისმიერი საშუალებით დაცვისკენ მოქალაქეებს 12 აგვისტოს საჯაროდ მოუწოდა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ. ბაქრაძემ საქართველოს მოსახლეობას პრეზიდენტის დანაბარებიც გადასცა.

„მე მინდა გადმოგცეთ საქართველოს პრეზიდენტის მოწოდება და, მთლიანად, საქართველოს ხელისუფლების მოწოდება. ყველა ერთად გავერთიანდეთ, ყველგან, სადაც შემოვა მტრის ჯარი, ყველა არსებული საშუალებით გავუწიოთ წინააღმდეგობა“.

იურისტი ლია მუხაშავრია ამბობს, რომ მოსამართლეს იარაღის აღების დროს არსებული საომარი მდგომარეობა და დავით ბაქრაძის მოსახლეობისთვის მიმართვაც უნდა გაეთვალისწინებინა და თავდაცვისთვის იარაღის აღება დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალა.

„საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არის ჩვენი საკანონმდებლო ხელისუფლების თანამდებობის პირი და მისი მოწოდება ასეთ ვითარებაში არის პირდაპირი განკარგულება და ბრძანება, რომელიც უნდა შესრულდეს. ეს მოწოდება უნდა განვიხილოთ, და ჩემი აზრით, სასამართლოსაც უნდა განეხილა, როგორც პირდაპირი განკარგულება, ანუ საფუძველი იმისა, ჰქონდათ თუ არა ელბაქიძესა და ბითაძეს უფლება და შეიძლებოდა, თუ არა ისინი ოკუპაციის დღეებში თავდაცვის მდგომარეობაში ყოფილიყვნენ“.

„მონიტორი“: „მაგ დროს პოლიცია იყო ქალაქში?“

ბადრი თიბილაშვილი: „სად იყო პოლიცია. არავინ არ იყო“.

„მონიტორი“: „მაგ დროს პოლიცია არ გიცავდათ?“

ბადრი თიბილაშვილი: „არა. რაც მე გითხარით, ეს არის ნაღდი სიმართლე. მე არ ვარ ისეთი კაცი, რომ ჩამწეროთ და რამე. რასაც გეუბნები, ეს არის ორჯერ ორი“.

საქმის მასალების მიხედვით, ელბაქიძემ და ბითაძემ ერთი ცალი პისტოლეტი მე-7 სკოლის დირექტორს ნოდარ იარღანაშვილსაც ათხოვეს. შეგახსენებთ, რომ ორივე მსჯავრდებული გორის ოკუპაციის დროს სწორედ ამ სკოლის სარდაფში აფარებდა თავს.

საქმის მასალების მიხედვით, სკოლის სარდაფში 17 აგვისტომდე ქალები და ბავშვები ჰყავდათ შეფარებული, დაკავებულები ამბობდნენ, რომ 16 აგვისტოს იარაღი მათი დაცვის მიზნითაც აიღეს.

სკოლის დირექტორს ჩვენც ვესაუბრეთ, იგი იხსენებს, რომ ელბაქიძემ, რომელიც მის დარაჯს იცნობდა, სთხოვა სახლი დამიბომბეს, ღამის გასათევი არ მაქვს და სარდაფში დავიძინებო. იარღანაშვილმა ინტერვიუზე უარი გვითხრა და მისი ჩაწერაც ფარულად მოგვიხდა.

ნოდარ იარღანაშვილი: „ჩუქება არ იყო, არც – მიყიდვა... ეს იყო თავდაცვის მიზნით, გამოვართვი 1-2 დღე მქონდა და უკან მივეცი, ეს უნდა ჩააბაროთ მეთქი... თავდაცვის მიზნით გამოვართვი, ჯერ კიდევ ტანკები დადიოდნენ ქუჩებში. საერთოდ იყო ქალაქში ვინმე? დაცლილი იყო ქალაქი.

ჩემი დარაჯი, ვიცი, არ იყო ცუდი ბიჭი. ეს ბიჭი ცოდოა იმიტომ, რომ ამდენი წელი მისცეს“.

იარღანიშვილის თქმით, იმ დროს სკოლაში რამდენიმე ათასი ლარის კომპიუტერული ტექნიკა და სხვადასხვა ნივთები ჰქონდა გადამალული, თუმცა, დარჯსა და მერაბ ელბაქიძეს აქედან არაფერი მოუპარავთ.

დაკავებულებმა პოლიციას ყველა ის პირი ჩამოუთვალეს, ვისაც იარაღი დაურიგეს, უკლებლივ ყველა პისტოლეტი პოლიციას დაუბრუნდა.

დაიწყო სასამართლო განხილვა. სხდომის ოქმის მიხედვით, ჩვენ მიერ ზემოთ მოხსენიებულმა მოწმეებმა სასამართლოშიც დააფიქსირეს, რომ პისტოლეტები დაკავებულებმა შენახვის და თავდაცვის მიზნით მისცეს. სასამართლომ მოწმეების ჩვენება არ გაითვალისწინა.

სასამართლოში ის პოლიციელებიც დაიკითხნენ, რომლებმაც კუთვნილი პისტოლეტები გორიდან წასვლის დროს პოლიციაში მიატოვეს. კითხვას – რატომ მიატოვეს ტაბელური იარაღი ქალაქიდან გაქცევის დროს? ერთ-ერთმა პოლიციელმა, ინსპექტორ-გამომძიებელმა მამუკა ტერაშვილმა ასე უპასუხა: „როდესაც პოლიციამ დატოვა გორი, რიცხვი დეტალურად არ მახსოვს, იმ დროს ჩვენ ქალაქი დავტოვეთ ექსტრემალურ სიტუაციაში. ქალაქიდან გასვლისას რამდენიმე ასეული იარაღი გამოვიტანეთ, მაგრამ სამორიგეოში დაგვრჩა იარაღი მაკაროვის სისტემის და სხვა.

ჩვენ იმ საომარ მოქმედებებში ვერ გამოვიყენებდით მაკაროვის სისტემის იარაღს, რადგან იმ დროს ვიყენებდით უფრო მსხვილ კალიბრიან და ტანკსაწინააღმდეგო იარაღს. ამის გამო ვერ წავიღეთ იარაღი. ჩვენ 23 აგვისტოს დავბრუნდით სამსახურში. როდესაც დავბრუნდით, იყო სამმართველო გაძარცვული და დარბეული“.

მერაბ ელბაქიძის დედა ამბობს, რომ მისი შვილი იარაღის ჩაბარებას აპირებდა, უბრალოდ, ვერ მოასწრო. გაგახსენებთ, რომ ელბაქიძე და ბითაძე ქართული პოლიციის გორში დაბრუნების დღესვე, 23 აგვისტოს დააპატიმრეს.

„რატომ არ ჩააბარე, შვილო-მეთქი და ვინ ჩაგაბარებინაო. ველარ მოვასწარითო. ჩემს შვილს არ უნდა გამოეტანა იარაღი, მაგრამ ხომ ყველაფერი უკან ჩაბარდა პოლიციას, არაფერი დაკარგულა და 2 მუხლი რატომ დაუტოვეს, ვერ გამიგია“, – ამბობს ლარისა ელბაქიძე.

გორის ოკუპაციის დღეები

სასამართლომ დანაშაულის ჩადენის დროს არსებული საგანგებო და საო-

მარი მდგომარეობა არ გაითვალისწინა. არადა, ერთ-ერთი თვითმხილველი ადასტურებს, რომ იმ დღეებში მოსახლეობა მხოლოდ საკუთარი თავის ანაბრად იყო დარჩენილი და თავდაცვაზეც ყველას თავად უწევდა ზრუნვა.

რამაზ ელენდაშვილი შიდა ქართლის რეგიონულ ტელეკომპანია „თრიალეთში“ ტექნიკურ რეჟისორად მუშაობს, მას აგვისტოს ომის დროს ტელეკომპანიის შენობა, რომელიც გორის ცენტრში მდებარეობს, არ დაუტოვებია.

„არც გაფრთხილება ყოფილა, არც არაფერი. დილით გავიღვიძეთ 12 აგვისტოს და აი, საშინელებათა ფილმებში რომ გინახავთ, ისეთი ცარიელი იყო ქალაქი. არც ხალხი გაუფრთხილებიათ, არც არაფერი. 13 აგვისტოს შუადღისას შემოვიდნენ რუსები. ქალაქი იყო ბედის ანაბარად მიგდებული, სამთავრობო შენობები სულ დაცლილი“, – იხსენებს რამაზ ელენდაშვილი.

მისი თქმით, იმ დროს ყველა თავდაცვაზე ფიქრობდა. რადგანაც არავინ იცოდა, როგორ მოექცეოდნენ ქალაქში შემოსული რუსი, თუ ოსი შეიარაღებული პირები გორში დარჩენილ ადამიანებს.

„მარადიორობა იყო ქალაქში, თვითონ გენერალი ბორისოვი გამოვიდა ხალხში და დაარიგა თავისი პოსტების ნომრები. თუ რაღაცა არის, ღამით დაგიკაკუნეს კარებზე, არ გააღოთ, დარეკეთ ჩვენთან და სამხედროები მოვლენო. პოლიციელების ნაცვლად ისინი იცავდნენ ხალხს მარადიორებისგან“, – ამბობს ელენდაშვილი.

აგვისტოს დღეების შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი ჟურნალისტი საბა წინიკაშვილიც მოგვიყვა. საბა გორიდან რამდენიმე კილომეტრში ცხოვრობს და ოკუპაციის დღეებში გორში რამდენჯერმე შევიდა.

„12 აგვისტოდან 22-მდე იყო ისეთი სიტუაცია, რომ მოსახლეობა არ იყო დაცული. ვიღაცა რომ გადმოგიხტება და ვერ გაიგებ, ვინ არის, ქართველია, თუ ოსია, ქართველიც გაგძარცვავდა და ოსიც გაგძარცვავდა, მოსახლეობა იყო დაუცველი, სახლები იყო დაუცველი, მაღაზიები იყო დაუცველი“, – იხსენებს წინიკაშვილი.

იგი ამბობს, რომ იმ დროს იარაღის შოვნა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა: „იარაღის შოვნა არ იყო პრობლემა, იარაღის შოვნა შეიძლებოდა ნებისმიერი სკვერიდან, სადაც რეზერვისტები იყვნენ ხოლმე განთავსებულები. ეს იყო სპორტსკოლის ტერიტორია, ეს იყო კომბინატში მე-7 სკოლის ტერიტორია. ეს იყო სკვერები. დაბომბვების და არეულობის დროს მიტოვებული იარაღებიც ეყარა აქ და თავისი აბჯარ ასხმულობაც. ნებისმიერ ადამიანს შეეძლო აეღო. იარაღთან დაკავშირებით სრული ქაოსი და უკონტროლობა იყო. ყველას შეიძლებოდა ჰქონოდა იარაღი, მე უბრალოდ არ მჭირდებოდა და არ ამიღია“.

■ განაჩენის მიხედვით დაკავებულებმა 2 ცალი პისტოლეტი სოფელ ტინისხიდელ არჩილ იორამაშვილს, 2 ცალი გორელ ბადრი თიბილაშვილს გადასცეს. 2 ცალი პისტოლეტი სოფელ ატენში გადამალეს და დარჩენილი 2 ცალი დაკავების დროს მე-7 სკოლის შენობაში დაკავებულებს აღმოაჩნდათ.

ᲐᲮᲨᲔᲛᲔᲑᲐᲮᲘ ᲡᲐᲞᲠᲝᲪᲔᲡᲝ ᲑᲐᲮᲘᲑᲔᲑᲐ

მსჯავრდებული მერაბ ელბაქიძის დედის თქმით, გორის სასამართლოში პროცესის მიმდინარეობის დროს საპროცესო შეთანხმებაზეც იყო საუბარი. თუმცა, საბოლოოდ საპროცესო გარიგება არ შედგა.

„საპროცესო შედგება, 5 ათასი ლარი დღესვე უნდა გადაიხადოთო. დღესვეო 5 საათამდეო. 13 წელი მოაკლდება და ორი წელი იჯდება 15 წლის ნაცვლადო. რა ილაპარაკეს სახაზინო ადვოკატმა და პროკურორმა არ ვიცი, გამოვიდა ადვოკატი და თქვა, რომ საპროცესო შეწყდა“, – ამბობს მსჯავრდებულ მერაბ ელბაქიძის დედა ლარისა ელბაქიძე.

საომარი მდგომარეობის დროს, საკუთარი და სხვების სიცოცხლის დასაცავად პისტოლეტების აღება სასამართლომ დანაშაულად მიიჩნია. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი გაგი მოსიაშვილი, რომელმაც აღნიშნული საქმე შეისწავლა, ამბობს, რომ ამ შემთხვევაში ბრალდებულები არ უნდა დასჯილიყვნენ.

„საქმეში არსებული მასალებით მტკიცდება, მოწმეთა ჩვენებებით მტკიცდება, რომ ბრალდებულების მიზანი სწორედაც რომ გახლდათ საკუთარი თავისა და საზოგადოების სხვა წევრების დაცვა. ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველს არ წარმოადგენს. შესაბამისად მუხლები, რომლებიც წარდგენილი იყო ბრალდებულების მიმართ, არ არის ობიექტურად გამოკვლეული სასამართლოს მიერ და ისინი არ უნდა დასჯილიყვნენ“, – ამბობს გაგი მოსიაშვილი.

ელბაქიძის და ბითაძის საქმის შესახებ კომენტარი მთავარ პროკურატურას და უზენაეს სასამართლოს წერილობით ვთხოვეთ. ჩვენი წერილები ორივე უწყებამ პასუხის გარეშე დატოვა.

მერაბ ელბაქიძე და ზაზა ბითაძე 4 წელია უკვე საპატიმროში არიან, მათ ერთადერთ იმედად პრეზიდენტის მიერ შეწყალება და სასჯელისგან ვადაზე ადრე გათავისუფლება რჩება. ელბაქიძის დედას ერთხელ უკვე უთხრეს უარი შვილის შეწყალებაზე, თუმცა ის პრეზიდენტისთვის მიმართვას კიდევ აპირებს.

ფოთლის ფესტივალი ცოცხალი სურათები

ფოტორეპორტაჟი

საპარლამენტო არჩევნები 2012

თბილისი, თავისუფლების მოედანი, 1 ოქტომბერი 2012

ფოტო: ლელა გლაბერნაძისა

ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ზეიმობს, 1 ოქტომბერი 2012

ფოტო: ლელა გლაბერნაძისა

ბიძინა ივანიშვილი ხალხთან შეხვედრის დროს, 1 ოქტომბერი 2012

თავისუფლების მოედანი, 1 ოქტომბერი 2012

ფოტო ელენა მესხიშვილისა

თავისუფლების მოედანი, 1 ოქტომბერი 2012

ფოტო დავით სულაკაურისა

ფოტო: ილია გუსტავსონისა

თავისუფლების მოედანი, 1 ოქტომბერი 2012

ფოტო: ილია გუსტავსონისა

ხალხი ბერა ივანიშვილს განსაკუთრებულად შეეგება, 1 ოქტომბერი 2012

თავისუფლების მოედანი, 1 ოქტომბერი 2012

ფოტო: ელვარ გუსტავაძისა

თავისუფლების მოედანი, 1 ოქტომბერი 2012

ფოტო: ელვარ გუსტავაძისა

ფოტო: დკარი სულაბაური

ხაშური, 2 ოქტომბერი 2012

ფოტო: დკარი სულაბაური

ხაშური, 2 ოქტომბერი 2012

ზუგდიდი, 4 ოქტომბერი 2012

ფოტო: ბორის ბოგუს

ზუგდიდი, 4 ოქტომბერი 2012

ფოტო: ბორის ბოგუს

დამშვიდობება წარსულთან:

სიმართლის, სამართლიანობისა და შერიგების კომისია (სსშ)

ანა დოლიძე

დღეს გავრცელდა ცნობა, რომ „ქართული ოცნების“ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან ხელისუფლების გადაბარების გეგმის შესამუშავებლად. იმაზე, თუ რამდენად ისტორიული იქნება საქართველოში ძალაუფლების რეალური ცვლილება დემოკრატიული საშუალებებით, აღარ დავწერ. ამაზე ისედაც ბევრი დაიწერა, ჩემი აზრით, ზედმეტად საზეიმო ტონშიც კი.

ამჯერად, მოკლედ მინდა გავცე პასუხი ერთ კითხვას, რომელიც საქართველოს და მის ხელისუფლებას მალე გამოწვევად ექცევა: როგორ უნდა მოახდინოს საქართველომ თვალის გასწორება წარსულთან? რა წესებით უნდა მიუდგეს საქართველოს ხელისუფლება სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი სიბოროტისა და სიკეთის გარჩევას? საქართველოს ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს სიმართლის, სამართლიანობის და შერიგების (სსშ) კომისია.

უკვე გაისმა მოწოდებები წარსულში ჩადენილი დანაშაულების გამოძიების და დამნაშავეთა დასჯასთან დაკავშირებით. მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფი სააკაშვილის და მისი ძალოვანი მინისტრების დასჯას ითხოვს. მეორე ჯგუფი ითხოვს რამდენიმე კონკრეტული, მათი აზრით, უკანონოდ დასჯილი პატიმრის გათავისუფლებას. ამასობაში გაისმა შევარდნაძის ჩინოვნიკების, ასლან აბაშიძის და ლევან მამალაძის განცხადებები ქონების დაბრუნებასთან დაკავშირებით. ცალკეული ადამიანები ასევე მიიჩნევენ, რომ უნდა მოხდეს რეჟიმის მსხვერპლთა გამოვლენა და მათთვის ზარალის ანაზღაურება რაიმე ფორმით. მავე დროს, იურისტები მიუთითებენ, რომ შეუძლებელია იმ მოსამართლეთა კორპუსთან მუშაობა, რომელიც მათ წინაშე მყოფ განსასაჯელთა 99%-ს უპირობოდ ციხეში უშვებდა.

უკმაყოფილება, იმასთან დაკავშირებითაც გამოითქვა, რომ ორი პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს. როგორი მიდგომა უნდა ჩამოაყალიბოს ახალმა ხელისუფლებამ ამ მოთხოვნების მიმართ, ისე, რომ ამ მიდგომას არ ჰქონდეს ის შერჩევითობის ელფერი, როგორც შევარდნაძის რეჟიმის მემკვიდრეობის მიმართ ნაციონალური მოძრაობის მიდგომას ჰქონდა?

ასევე, „ქართულმა ოცნებამ“ უნდა გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომელიც იქნება არა მხოლოდ მიმართული საკუთარი ამომრჩევლის დასაკმაყოფილებლად, არამედ ჩამოაყალიბებს წყალგამყოფს მომავლის საქართველოსა და ძალადობრივი მმართველობის ისტორიას შორის.

ამ სირთულეებთან გამკლავების საშუალებაა სიმართლის, სამართლიანობის და შერიგების კომისია (სსშ), შექმნილი საზოგადოებაში მაღალი ნდობის მქონე პირებისაგან, რომელიც კვლევის ან გამოძიების შემდეგ ჩამოაყალიბებს და საქართველოს მთავრობას სასწრაფოდ შესთავაზებს წარსულთან დამოკიდებულების სიღრმისეულ პოლიტიკას. ეს კომისია, რომელსაც მისი შემადგენლობიდან გამომდინარე ექნება მაღალი ლეგიტიმურობა და საზოგადოებრივი ნდობა, საუკეთესო საშუალება იქნება ჩამოაცილოს მომავალ პროცესებს პოლიტიკურობისა და შურისძიების ელფერი. კომისიის წევრები არ უნდა იყვნენ რომელიმე პარტიის წევრები, თუმცა ნეიტრალურობის მოთხოვნა არარეალურია. უმთავრესია, რომ მის წევრებს ახასიათებდეს სამართლიანობის განცდა და საზოგადოებრივი პასუხისმგე-

ირაკლი ალასანია, ირაკლი მღებრიშვილი და დავით უსუფაშვილი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ, 5 ოქტომბერი 2012

ფოტო: გიორგი ვეფხვია

ბლობა, რომელიც მათი პროფესიული და საზოგადოებრივი საქმიანობიდან ვლინდება. გავიხსენოთ, რომ სახელგანთქმული სამხრეთ აფრიკული შერიგების კომისიის ხელმძღვანელი იყო დესმონდ ტუტუ, აპართეიდის რეჟიმის მიერ რეპრესირებული სამღვდელო პირი.

კომისიამ საჯარო მოსმენების საშუალებით უნდა დაადგინოს მოვლენათა ის ჯაჭვი, რომელმაც სააკაშვილის ხელისუფლება დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებიდან ძალადობაზე დამყარებულ რეჟიმად გადააქცია. ამავე დროს, ეს კომისია, ისტორიული სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, დაადგენს და ხელისუფლებას შესთავაზებს თუ წარსულში ჩადენილ ქმედებათაგან რომელი იმსახურებს კომპენსირებას. რაც მთავარია, კომისია იქნება საშუალება, რომ მოქალაქეებს გაუჩნდეს სამართლიანობის აღსრულების განცდა და შერჩევითი სამართლის პრაქტიკა საქართველოს ისტორიას ჩაბარდეს.

ასეთი გამოწვევა ხელისუფლების ცვლილების დროს მრავალ სხვა ქვეყანაში ყოფილა. სამხრეთ აფრიკაში და არგენტინაში, მათ შორის, წარსულში ჩადენილ დანაშაულებთან გამკლავებისათვის შეიქმენა სპეციალური ორგანოები. შედარებით ადვილია ამ ისტორიული გამოცდილების მალევე გაზიარება და კომისიის სტრუქტურის საქართველოს ისტორიული თავისებურებებისათვის მორგება. ესპანეთში, მეორე მხრივ, ფრანკოს რეჟიმის ცვლილების დროს, ასეთ პროცესს ადგილი არ ჰქონია.

ამნისტია გამოცხადდა როგორც ფრანკოს რეჟიმის წევრების, ასევე მის მიერ დაპატიმრებულ მსხვერპლთა მიმართ. თუმცა, დღემდე, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, ესპანურ საზოგადოებაში მიმდინარეობს კამათი იმ ათასობით ადამიანთა შესახებ, რომელიც ფრანკოს მმართველობამ შეიწირა და რომელთა ბედი მხოლოდ ისტორიას ჩაბარდა.

ძალადობრივ წარსულთან გამკლავების და დამშვიდობებისათვის უფრო მეტია საჭირო, ვიდრე კონკრეტული პირების დაკავება, ან მათ ხელშეუხებლად გამოცხადება. ერთხელ და სამუდამოდ, ქართული საზოგადოება, მისთვის სანდო ადამიანების საშუალებით საჯაროდ და მკაფიოდ უნდა დაემშვიდობოს ამ წარსულს. ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც წარსულთან დამოკიდებულება პოლიტიკური მიზანშეწონილობის მაგივრად ისტორიული სამართლიანობის პრინციპს დაეფუძნება.

ანოსმია

კახა თოლორდავა
ჟურნალისტი

ვიცი, რომ ძალიან გავახურე ამ ჩემი სამედიცინო სათაურებით („ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერების“ მკითხველები მიხვდებიან, რასაც ვგულისხმობ), მაგრამ ეს ის ტერმინია, რაც პირველად მომივიდა თავში, როდესაც რამდენიმე დღის წინ „ექსპო-ჯორჯიას“ ტერიტორიაზე მოვხვდი თითქმის ერთწლიანი შესვენების შემდეგ. ყოველთვის მომწონდა ეს სივრცე – ზომიერად გაშლილ-დაბურული, გამწვანებული, ყოველთვის მოვლილი, – მაგრამ იმ დღეს „ექსპომ“ განსაკუთრებით მომნუსხველად იმოქმედა ჩემზე. უფრო სწორად, ჩემს ცხვირზე. აქედან ეს სათაურიც და ტექსტიც. ეს ტექსტი ცხვირმა მიკარნახა.

ანოსმია ყნოსვითი შეგრძნების არქონას ნიშნავს. ამის მიზეზი განუვითარებელი ყნოსვითი სისტემა, ტვინის ტრავმა, ალცჰეიმერი, პარკინსონი, ან სულაც მომატებული ასაკი შეიძლება იყოს. არის კიდევ ტერმინი გიპოსმია, რაც უკვე დაქვეითებულ ყნოსვას აღნიშნავს. თითქმის ყველა სერიოზული მწეველია ყნოსვადაქვეითებული. ეს მოკლე განმარტებები სრულიად საკმარისია სათქმელი რომ არ გამიგრძელდეს. იმ დღეს „ექსპოს“ ტერიტორიაზე (გინდა დაიჯერეთ, გინდა არა) სუფთა ჰაერის, ახლად მოთიბული ბალახის და მცენარეების სუნმა შემაჩერა. ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ კიდევ რამდენიმე წუთის განმავლობაში გაუნძრევლად ვიდექი ველოსიპედზე ჩამოყრდნობილი და გაფაციცებული ცხოველივით ვყნოსავდი არემარეს. პირველი, რამაც თავში გამიელვა, ის იყო, რომ სუფთა ჰაერის, ან, თუ გნებავთ, ზოგადად სასიამოვნო სუნს ქალაქში ხეტიალისას ძალიან დიდი ხანია არ გავუჩერებივარ, მერე კი, აი, რაზე გავაგრძელე ფიქრი:

ყველამ, ვისაც ანოსმია ან გიპოსმია არ ჭირს, კარგად იცის, რომ ნებისმიერი სივრცე, ვიზუალურის გარდა, ყნოსვითი შეგრძნებების მეშვეობითაც გამახსოვრდება. ამ მხრივ ურბანული სივრცე გამონაკლისი არაა. უფრო მეტიც, ყველა ქალაქი, სადაც კი ვყოფილვარ, სწორედ თავისი განსაკუთრებული სუნის მეშვეობით შემოსულა ჩემში. რა თქმა უნდა, ახალს არაფერს ვამბობ, ეს ნებისმიერ თქვენგანს გამოუცდია და ამაზე, სხვათა შორის, უამრავი კვლევაც არსებობს. ეგ არაფერი, ქალაქების დაკონსერვებული ჰაერიც კია გაყიდვაში! აირჩიე, ნიუ-იორკის ჰაერი გინდა გასასინჯად თუ ჟენევის!

ბუნებრივია, ამ ფიქრებმა თბილისისკენ მომისროლეს. თვითონაც არაერთხელ მიხსენებია თუ რა მნიშვნელობა აქვს პირადად ჩემთვის ქალაქის სუნს და რა შეიძლება გითხრას ცხვირმა თუნდაც შენივე ქალაქის შესახებ. ოფლის, საჭმელგამჯდარი ტანსაცმლის, უხარისხო თამბაქოს და უზომოდ მოხმარებული სუნამოს სუნები პირველია, რაც თავში მომდის ქალაქის საჯარო შეკრებების ადგილებს რომ ვიხსენებ ხოლმე, თუმცა, ახლა ამაზე დეტალური საუბარი არ მინდა. მე უფრო თვითონ ქ ა ლ ა ქ ი ს მიერ გენერირებული სუნი მაინტერესებს, ანუ, სუნი, რომელიც თვითონ ქალაქს „ასდის.“ თბილისში მრავალწლიანი „ცხვირმომარჯვებული“ ხეტიალის შედეგად, ჩემი დასკვნა თვითონვე მაშინებს ხოლმე, რადგანაც როგორც დაზიანებულ ტვინის უბანს ან სიგარეტის წევას შეუძლია ანოსმიის ან გიპოსმიის გამოწვევა, ზუსტად ასევე შეუძლია დაბინძურებულ ქალაქს იგივე ცვლილებები მოახდინოს. თბილისს ეს შეუძლია და ის ამაში დაუნდობელია. მისი დაუნდობლობა კი შემდეგში მდგომარეობს, – ქალაქში აღარაა მეტ-ნაკლებად სუფთა ურბანული სივრცისათვის დამახასიათებელი სპეციფიური სუნი, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთადერთი, რასაც ის გვთავაზობს, მხოლოდ და მხოლოდ უხარისხო საწვავის წვის შედეგად გაჩენილი და გამჯდარი სუნია. ტყუილუბრალოდ შემედავებით ამაზე! ეს ის სუნია, რომელიც თბილისში დ ო მ ი ნ ი რ ე ბ ს! სადაც არ უნდა წახვიდე, ქალქის ნებისმიერ ნაწილში! დიახ, მტკვრის სანაპიროზე გავლის შემდეგ მთაწმინდის რომელიმე უბანში თუ მოხვდებით ნამდვილად იგრძნობთ განსხვავებას, მაგრამ გავა რამდენიმე ხანი და ერთადერთი, რაც ცხვირში და ხორხში „დაგრჩებათ“ ისევ ის „მტვრიან-ზეთოვანი“ სუნი იქნება. უკვე დიდი ხანია ამას ვაკვირდები. „გრძნობთ? – ვკითხულობ ხოლმე ზოგჯერ, – გრძნობთ ჰაერის სუნს?“ პასუხი როგორც წესი ერთი და იგივეა, – „ვერა, რა ხდება, რამე დაიწვა?“

დანარჩენზე თვითონ დაფიქრდით. ან, თუ გნებავთ, დანარჩენი თვითონ დაყნოსეთ. რა თქმა უნდა, თუ ანოსმია არ გჭირთ!

აქ ცხოვრებისას ივიწყებ, ნახევრადცხოველი რომ ხარ.

მესმის დღეს ანოსმია, მაგრამ ერთმა ძალიან ჭკვიანმა კაცმა თქვა, რომ მთელი ამ კვირების განმავლობაში თბილისი არსად წასულა. ის ისეთივე ყურადღებას ითხოვს, როგორც ადრე.

FM

ᲣᲪᲜᲝᲑᲘ

98.0

www.ucnobifm.ge

თუ გამოგრჩა რომელიმე სიუჟეტი ან გადაცემა, ეწვიე "მეცხრე არხის" Youtube-ს.

tv9.ge/youtube

YouTube

tv9

ეცადე დაინახო მეტი

აქ იხილავ ყველა საინფორმაციო გამოშვების და გადაცემის არქივს. კონკრეტული ვიდეო ფაილის მოსაძებნად გამოიყენე ძიების ველი, ან გადადი Playlist-ების გვერდზე, სადაც მასალა გადაცემების და თარიღების მიხედვით არის დალაგებული.